2021

გენდერული სოციალიზაციის პროცესი — არაფორმალურ აქტივობებში გოგონებისა და ბიჭების ჩართულობაზე გავლენის მქონე ფაქტორები

კვლევის ანგარიში

კვლევა განხორციელდა პროექტის „ სამოქალაქო ჩართულობა - უკეთესი მომავლისთვის“
ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

კვლევის ანგარიშის ავტორი: **ხატია ჭანიშვილი**

კვლევის ჯგუფი: **იაგო კაჭკაჭიშვილი (კვლევის კონსულტანტი), ხატია ჭანიშვილი,**

რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

სარჩევი

შესავალი 3

მეთოდოლოგია 8

შემაჯამებელი დასკვნა 9

- საოჯახო აღზრდის პრაქტიკა 11
- სკოლამდელი განათლების საფეხური 12
- ზოგადი განათლების საფეხური 12

ოჯახის სტრუქტურა და ბავშვის აღზრდა 13

- საოჯახო საქმეებში ჩართულობა 15

სკოლამდელი აღზრდა და გენდერული მიდგომები 17

არაფორმალური განათლება სკოლაში 22

- სასკოლო კლუბები 22
- სასკოლო აქტივობები 25

ფორმალური საგანმანათლებლო პროცესი 28

ახალგაზრდების ინტერესთა გავლენა სამომავლო პროფესიულ არჩევანზე 31

- არაფორმალური აქტივობები სკოლის გარეთ 31
- მოსწავლეებისთვის სასურველი პროფესია 33
- სქესის როლი კარიერული წარმატების მიღწევის პროცესში 37

Gender Socialization Process - Factors Influencing the Engagement of Girls and Boys in Informal Activities 40

შესავალი

ზოგადი განმარტებით, სოციალიზაცია არის პროცესი, როდესაც კულტურაში დამკვიდრებული ნორმები განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სოციალიზაცია გულისხმობს ინდივიდის მიერ სოციალური როლების დასწავლას.[1] ათ ძირითად დებულებაში, რომლებსაც გამოყოფენ რიტცერი, ცეიტლენი და სხვები (ეს დებულებები კლასიკური სოციოლოგიის თეორიულ საფუძველს შეადგენს), ვკითხულობთ, რომ „საზოგადოება ანალიზის მთავარ ერთეულად გადაიქცა; ის განიხილებოდა, როგორც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ინდივიდი. სწორედ საზოგადოება ქმნის ინდივიდს, უპირატესად სოციალიზაციის პროცესში".[2] შესაბამისად, ჩნდება კითხვები: ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში ინდივიდის განვითარებაზე თავად პიროვნების ბიოლოგიური თუ სხვა მახასიათებლები ახდენს მეტ გავლენას თუ ამას საზოგადოების მიერ უკვე ჩამოყალიბებული და არსებული წესები განსაზღვრავს? რა როლი აქვს ინდივიდს სოციალური ინტერაქციის პროცესში? ახერხებს კი ის, ფლობდეს „თვითობას" (self)? ამაში ჯორჯ მიდი გულისხმობს იმას, თუ რამდენად შეუძლია

[1] https://www.sciencedirect.com/science/article/pii/B0080430767019641?fbclid=IwAR30AlDkYorf__CRik9xLi_gWyeHz7OKZdyGFgAlsRLw3TUxWCFjyOcFcAg

[2] http://socium.ge/downloads/klasikurisocteoriebi/books/a.berdzenishvili_klasikuri_sociologiuri_teoriebi_adreuli_wlebi.pdf

ადამიანს, იყოს საკუთარი თავის ობიექტი.[3] ჯორჯ მიდიც და ჩარლზ ჰორტონ ქულიც მსჯელობენ იმაზე, რომ ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია რწმენა, თუ როგორ ხედავს საზოგადოება მას და რას ფიქრობს მასზე.[4] ქული თავის თეორიაში – სარკისებური „მე“ – გამოყოფს სამ ელემენტს:

1. ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ გვხედავენ ჩვენ სხვები;

2. ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ სხვები ჩვენს სახეს (ანუ იმას, როგორც გვხედავენ);

3. საკუთარი განცდები, რომლებიც ჩნდება ამ პროცესში (მაგალითად, სიამაყე ან დამცირება).

ამ შემთხვევაში, საზოგადოება ასრულებს სარკის როლს, აყალიბებს მოლოდინს, რომელსაც კულტურა და ჩამოყალიბებული ნორმები ქმნის კონკრეტული ინდივიდის მიმართ.

საიდან იწყება ეს პროცესი? ქულის აზრით, ბავშვობის ასაკში საკმაოდ იოლია სხვებისთვის, ბავშვს განუსაზღვრონ კონკრეტული ქცევა.[5] თუმცა, არსებობს დამატებითი ფაქტორები, რომლებიც კონკრეტულ ინდივიდს მოარგებს საზოგადოდ არსებულ ნორმებსა და მოლოდინებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი არის გენდერი და ის მოლოდინები, რომელსაც უსახავს საზოგადოება ცალკე – გოგონებს და ცალკე – ბიჭებს. **გენდერული სოციალიზაცია** არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდები ვითარდებიან, იცვლებიან და სწავლობენ, თუ როგორ მოირგონ საკუთარი გენდერი, ამას კი გენდერული ნორმებისა და როლების გათავისებით აკეთებენ მაშინ, როცა ურთიერთობენ სოციალიზაციის ისეთ მთავარ აგენტებთან, როგორიცაა ოჯახი, თანატოლები, სოციალური ქსელები და სხვა სოციალური ინსტიტუტები.[6]

სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ყველა ინსტიტუციაში, მათ შორის, სკოლებშიც. განათლების სისტემაში არსებული გენდერული უთანასწორობის საკითხი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლევისა და ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მკვლევრები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევებზე, სტერეოტიპული მიდგომების აღმოფხვრაზე, დასკვნებს, ძირითადად, ე.წ. დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით აკეთებენ. იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებშიც დაინერგა სხვადასხვა მიდგომა, რათა გოგონებისა და ბიჭებისთვის თანაბარი სასტარტო პირობები შეექმნათ. თუმცა, მნიშვნელოვანია ამ მიღწევების საფუძვლიანად გააზრება და იმის ხაზგასმა, რომ განვითარების აღნიშნულ კურსს ყველა ქვეყანა ვერ მიჰყვება.

---

[3] http://old.ucss.ge/publication/004%20Socialuri%20Mokmedebis%20Teoriebi.pdf

[4] https://www.sciencedirect.com/science/article/pii/B0080430767019641?fbclid=IwAR30AlDkYorf__CRik9xLi_gWyeHz7OKZdyGFgAlsRLw3TUxWCFjyOcFcAg

[5] http://www.csun.edu/~hbsoc126/soc1/Charles%20Horton%20Cooley.pdf

[6] https://www.unicef-irc.org/publications/pdf/IRB_20-17_19_GENDER%20SOCIALIZATION.pdf

ჩატარებული კვლევების თანახმად, ნათლად ჩანს, რომ ყალიბდება ერთგვარი ჩარჩო, რომელიც მოიცავს ცალკე მასკულინურ მახასიათებლებს და ცალკე – ფემინურს. ლორა ბერკი წიგნში „ბავშვის განვითარება“ აღნიშნავს, რომ მსგავსი დიქოტომიური დაყოფა, რომელსაც ფართო საზოგადოება ხანგრძლივი დროის განმავლობაში იზიარებს, მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ ღრმად აქვს გადგმული ფესვები გენდერულ სტერეოტიპებს ადამიანთა აზროვნებაში. ავტორის თქმით, „ადრეულ ბავშვობაში გენდერულად სტერეოტიპული შეხედულებები იმდენად ძლიერია, რომ ბევრი ბავშვი მათ უფრო მეტად იღებს, როგორც საყოველთაო ნორმებს, ვიდრე მოქნილ და ცვალებად სახელმძღვანელო პრინციპებს“.[7]

აღსანიშნავია შედეგები კვლევისა, რომელშიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, იაპონიის, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მე-2-მე-6 კლასების მოსწავლეები. კვლევამ გამოავლინა, რომ გოგონებს უფრო მაღალი ნიშნები ჰქონდათ სკოლაში, ვიდრე ბიჭებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, გოგონების წარმოდგენა საკუთარ იმდროინდელ თუ სამომავლო წარმატებაზე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ბიჭებისა.

მსგავსი მიდგომის გამომწვევი მიზეზების განხილვისას შეგვიძლია, რამდენიმე ფაქტორი დავასახელოთ. მათ შორის მნიშვნელოვანია მშობლებისა და მასწავლებლების აქტიური ინტერვენცია. ბერკის თქმით, მშობლები ვაჟიშვილებს აძლევენ გაცილებით მეტ თავისუფლებას და არიდებენ საშინაო საქმეებს, მაშინ, როცა გოგონების საქმიანობა, მეტწილად, შემოიფარგლება ოჯახში სახლის დალაგებით, საჭმლის მომზადებით, უმცროსი დის ან ძმის მოვლით და სხვ. ამგვარი მიდგომები კიდევ უფრო უწყობს ხელს გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას და ბავშვის მიერ საკუთარი გენდერული როლის ისე აღქმას, როგორც არის ის მიწოდებული „გარედან“ და უბიძგებს მას უკვე არსებული მოლოდინის განმტკიცებისკენ. რაც შეეხება პედაგოგებს, ბერკი აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა ქცევა ხშირად კიდევ უფრო ამყარებს იმ სტერეოტიპულ ნორმებს, რომლებსაც ბავშვები ოჯახში ითვისებენ. ავტორის აზრით, მასწავლებლები გენდერულ განსხვავებებზე ხაზგასმით ხელს უწყობენ სტერეოტიპული გარემოს ჩამოყალიბებას. ბერკი აღნიშნავს, რომ „მასწავლებლები უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს გოგონებს, ვიდრე ბიჭებს, რითაც ბიჭებში დომინანტობას აყალიბებენ, ხოლო გოგონებში – პასიურობას. 4 წლის ბავშვებში შეიმჩნევა, რომ ბიჭები მასწავლებელ ქალებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ, ვიდრე გოგონები“.[8]

საქართველოს სკოლამდელი თუ სასკოლო განათლების სისტემაში არსებობს სხვადასხვა პრობლემა. ზოგი მათგანი ზედაპირზეა და მათი შემჩნევა ადვილია, ზოგის იდენტიფიცირება კი რთული ხდება. ეს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მწვავე საკითხი, საერთო ჯამში, გენდერული უთანასწორობის საფუძველს ქმნის. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სკოლაში გოგონების აკადემიური მოსწრება ბიჭებისაზე მაღალია. „ქალებს

[7] https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/bavshvis-ganvithareba-1.pdf

[8] https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/bavshvis-ganvithareba-1.pdf

(36%), კაცებთან შედარებით (28%), უფრო ხშირ შემთხვევაში აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება. სამუშაო ძალის მონაწილე ქალებსაც (43%) კაცებზე ხშირად (30%) აქვთ უმაღლესი განათლება".[9] ამ მონაცემების ფონზე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევის „კარიერა საჯარო სამსახურში და გენდერული თანასწორობა" ანგარიშის მიხედვით, გამოკითხული რესპონდენტების 71% ფიქრობს, რომ კარიერულ გზაზე წარმატებას მამაკაცები უფრო სწრაფად აღწევენ, ვიდრე – ქალები.[10] გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ზრდასრული ქალების 21% თავს დიასახლისად აღიქვამს. ამის საპირისპიროდ, მთლიანი მოსახლეობის მამაკაცთაგან ერთ პროცენტზე ნაკლები მიუთითებს თავის ძირითად საქმიანობად საოჯახო საქმეებს.[11] გოგონები რჩებიან ოჯახებში, სადაც მათ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. შედეგად კი ვიღებთ ხისტ პოლიტიკურ მიდგომებსა და ადამიანის უფლებების დარღვევას. „2013 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) სულ დასაქმებული იყო 9,250 პირი, რომელთაგან უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ. კერძოდ, ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობა იყო 7,245 ხოლო ქალებისა – 2,005 საჯარო სამსახურის ბიუროს 2018 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, საჯარო დაწესებულებების თანამშრომლების 67% არის კაცი და 33% – ქალი, ხოლო ადმინისტრაციული კონტრაქტის საფუძველზე დასაქმებულთა 58% არის ქალი და 42% – კაცი. აღსანიშნავია, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, „აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოს აქვს ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა კითხვის უნარებში; გოგონები უკეთეს შედეგებს აღწევენ კითხვის უნარებში სკოლაში საშუალო საფეხურის დასასრულს. ამასთანავე, იმავე მონაცემების მიხედვით, 30 ქვეყანას შორის საქართველო მეოთხე ადგილზეა გენდერული სახელფასო სხვაობით (35.6 2014 წელს) (სახელფასო სხვაობები კაცების სასარგებლოდ)".[12]

შესაბამისად, ვიღებთ სურათს, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ბიჭები გვევლინებიან საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირებად. „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი კარიერულ წარმატებაში ქალებსა და კაცებს შორის არის კორპორაციულ კიბეზე აღმასვლა. მენეჯერი ქალები დაბალ საფეხურებს იკავებენ კაცებთან შედარებით. უამრავი კვლევისა და მცდელობის მიუხედავად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი არ ფიქსირდება. ასეთ მდგომარეობას „შუშის ჭერი" ეწოდება და სწორედ მისი წყალობით ქალები ნაკლებად აღწევენ წარმატების მწვერვალს მხოლოდ იმიტომ, რომ

[9] https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/womens%20economic%20inactivity%20and%20inf%20employment%20georgiageo.pdf?la=ka&vs=3009

[10] https://idfi.ge/public/upload/Gender/Web/Gender_GEO%20WEB2.pdf

[11] https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/womens%20economic%20inactivity%20and%20inf%20employment%20georgiageo.pdf?la=ka&vs=3009

[12] https://idfi.ge/public/upload/Gender/Web/Gender_GEO%20WEB2.pdf

ქალები არიან. თუ ქალი მაინც მიიწევს წინ კარიერულ კიბეზე, ის ამას კაცისგან ძალიან განსხვავებული გზით ახერხებს. გენდერის მკვლევრებმა სცადეს, აეხსნათ ეს ფენომენი. დისკუსია აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ორი ასპექტით ვითარდება: პირველის მიხედვით, ქალებს, ზოგადად, არ აქვთ სურვილი, დახარჯონ იმდენივე დრო კარიერულ განვითარებაზე, რამდენსაც კაცი ხარჯავს, მათი პრიორიტეტები სხვაგვარია და ისინი დროს სხვა აქტივობებისა და მოვალეობების შესრულებას ანდომებენ. მეორე მხრივ, გენდერის მკვლევრები საუბრობენ იმ სიძნელეებსა და არახელსაყრელ მდგომარეობაზე, რომლებსაც ქალები სამსახურში აწყდებიან კოლეგების, ოჯახისა და საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობისა და ნეგატიური დამოკიდებულებების გამო“.[13]

გარდა კულტურული მახასიათებლებისა, რომლებიც ხშირად განაპირობებს რეალობის ამგვარ აღქმას, არსებობს დამატებითი ფაქტორებიც, რომლებიც, შესაძლოა, მნიშვნელოვან ცვლადებს წარმოადგენდეს პრობლემის იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზაზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი განათლებაა. ამ შემთხვევაში, კვლევა განსაკუთრებულ აქცენტს სვამს არაფორმალურ განათლებაზე, რადგან, შესაძლოა, სწორედ ამ ჭრილში უკეთ იკვეთებოდეს გენდერული სოციალიზაციის თავისებურებანი. არაფორმალური განათლება განიმარტება, როგორც ფორმალური განათლების დამატება, მისი ალტერნატიული ფორმა და იგი უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უწყვეტობას. აგრეთვე, მოიცავს პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში სასიცოცხლო უნარ-ჩვევებისა და სოციალურ თუ ეკონომიკურ მახასიათებელთა განვითარებას.[14] შესაბამისად, არაფორმალური განათლება იძლევა მეტ სივრცესა თუ შესაძლებლობას, უკეთ იქნეს დანახული ახალგაზრდების ინტერესები და მათზე გავლენის მომხდენი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ არაფორმალური განათლება არ არის ნახსენები, თუმცა, შეხვდებით ტერმინს „ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება“, რომელიც განიმარტება, როგორც „საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სააღმზრდელო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებში გაწეული საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება“.[15] საგანმანათლებლო აქტებსა თუ დოკუმენტებში არ მოიპოვება „არაფორმალური განათლების აქტივობების“ ზუსტი განმარტება. მოცემული კვლევის მიზნებისთვის არაფორმალური განათლების აქტივობა განისაზღვრება, როგორც საგანმანათლებლო ან აღმზრდელობითი მიზნის მქონე ღონისძიება, რომელიც შეთავაზებულია სახელოვნებო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან თავად სკოლების მიერ და მონაწილეობა, მოსწავლეების სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ნებაყოფლობითია.

[13] https://idfi.ge/public/upload/Gender/Web/Gender_GEO%20WEB2.pdf

[14] http://uis.unesco.org/en/glossary-term/non-formal-education

[15] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო გენდერული სოციალიზაციის პროცესში იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც დადებით ან ნეგატიურ გავლენას ახდენს ბიჭებისა და გოგონების თანაბარ ჩართულობაზე არაფორმალურ აქტივობებში.

კვლევის ამოცანები:

1. გენდერული სოციალიზაციის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის განსაზღვრა;
2. გენდერული როლების შესახებ არსებული დამოკიდებულებების გამოვლენა;
3. მოსწავლეთა მიერ გენდერული როლების გათავისების პროცესის ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა.

ძირითადი საკითხები, რომლებსაც მოიცავს კვლევა:

- მოსწავლეთა მიერ საკუთარი გენდერული იდენტობის აღქმა და მისით კმაყოფილება;
- გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე მშობლების, თანატოლებისა და პედაგოგების გავლენის განსაზღვრა;
- მშობლების, თანატოლებისა და პედაგოგების მხრიდან გენდერული ნიშნით განსხვავებული მოლოდინების იდენტიფიცირება და მათი გავლენა მოსწავლის სოციალიზაციის პროცესზე;
- გენდერული იდენტობისა და შეხედულებების გავლენა მოსწავლეთა ინტერესების ჩამოყალიბებაზე.
- საბავშვო ბაღებში დასწავლილი გენდერული შეხედულებების/ქცევების გავლენა სასკოლო ასაკში ჩამოყალიბებულ პოზიციაზე.

სამიზნე აუდიტორია:

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო როგორც სასკოლო, ასევე წინარე (საბავშვო ბაღის) გამოცდილების შესწავლა; ასევე, უნდა გაანალიზებულიყო მისი სხვადასხვანაირი გავლენა არაფორმალურ აქტივობებში ბიჭებისა და გოგონების თანაბარ ჩართულობაზე. ამიტომ განისაზღვრა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- მოსწავლეები (მე-7-მე-12 კლასები)
- სკოლის პედაგოგები
- საბავშვო ბაღის პედაგოგები
- მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები

კვლევის მეთოდი:

შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ფოკუს-ჯგუფი და ჯგუფური დისკუსია, რომლებიც, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩატარდა Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. მიმდინარეობდა online-შეხვედრის ვიდეო- და აუდიოჩაწერა, რის შესახებაც რესპონდენტები ინფორმირებულნი იყვნენ.

შერჩევა:

შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო, გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი ფაქტორები:

- კვლევას მოეცვა ქვეყნის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ნაწილი;
- კვლევა ჩატარებულიყო რეგიონებში, რომლებიც გამოირჩევა ბავშვებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიმართულებით (მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით) მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შედარებით მცირე რაოდენობით;
- კვლევა ჩატარებულიყო რეგიონებში, რომლებიც გამოირჩევა ბავშვებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შედარებით დიდი რაოდენობით (მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით).

საბოლოოდ, კვლევა განხორციელდა თბილისში, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 13 ფოკუს-ჯგუფი და 4 ჯგუფური დისკუსია შემდეგ აუდიტორიასთან:

- მე-7-მე-9 კლასების მოსწავლე გოგონები
- მე-7-მე-9 კლასების მოსწავლე ბიჭები
- მე-10-მე-12 კლასების მოსწავლე გოგონები
- მე-10-მე-12 კლასების მოსწავლე ბიჭები
- საბავშვო ბაღის აღმზრდელები/მენეჯერები
- სკოლის დირექტორები/პედაგოგები
- მშობლები

შეხვედრებში სულ ჩართული იყო 114 რესპონდენტი.

მომზადდა შეხვედრების ტრანსკრიპტები, რომლებიც დამუშავდა პროგრამა NViVo-ს გამოყენებით და მომზადდა საბოლოო ანგარიში.

შემაჯამებელი დასკვნა

კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა მიერ საკუთარი გენდერული იდენტობის აღქმის პროცესში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საოჯახო აღზრდა, სკოლამდელი და სასკოლო განათლების საფეხურები. გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე მშობლების, თანატოლებისა და პედაგოგების გავლენა საკმაოდ დიდია. გამოვლინდა, რომ სოციალიზაციის პროცესში რესპონდენტები, მეტწილად, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ხელმძღვანელობენ საზოგადოების მიერ სოციალურად მისაღები განწყობებით თუ ქცევის პატერნებით, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ფარული სახით არსებობს; კერძოდ, იკვეთება, რომ ოჯახებში საქმიანობების გადანაწილება კვლავაც სქესის

ნიშნით არის განპირობებული, ამასთან, რესპონდენტების დამოკიდებულება, რომ ზოგჯერ ბავშვის ინტერესებისა და სურვილების უგულებელყოფა გამართლებულია (რადგან ეს, მათი აზრით, შვილებს მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე ზიანს), მიგვანიშნებს იმაზე, რომ მშობლების გარკვეული ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ბავშვის უფლებების შესახებ; შესაბამისად, აღნიშნული ქცევა შეიცავს ბავშვების მიმართ ძალადობის ნიშნებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მშობლების, თანატოლებისა და პედაგოგების მხრიდან გენდერული ნიშნით განსხვავებული მოლოდინების არსებობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესების ჩამოყალიბებას და/ან ცვლილებას. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, გოგონებისთვის დაწესებული ნორმები გაცილებით მკაცრია, ვიდრე ბიჭების შემთხვევაში. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ერთ-ერთ გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ ვაჟები უფრო ხშირად გამოთქვამენ კმაყოფილებას საკუთარი სქესით, ვიდრე გოგონები. ამასთან, გოგონების მიმართ დაწესებული სხვადასხვა სახის შეზღუდვა თუ აკრძალვა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმასაც, რომ რესპონდენტი გოგონების სამომავლო გეგმები ნაკლებად ამბიციურია, ვიდრე ბიჭებისა.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტწილად ცდილობენ, გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომლებიც აღიარებს გოგონებისა და ბიჭების თანასწორობას, თუმცა, დამოკიდებულებების დონეზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ვლინდება მხოლოდ დეკლარირებული ცოდნა, ცოდნის სხვა ორი კატეგორიის (პროცედურული და პირობისეული ცოდნა) გარეშე, რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების ნაწილს არ გაუთავისებია ის ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის/აღსაზრდელის ჩამოყალიბების პროცესზე. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, პედაგოგების (როგორც საბავშვო ბაღის, ისე სკოლის) გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიჭებში ფემინურობის და გოგონებში მასკულინური მახასიათებლების აღმოჩენის შემთხვევაში განათლების სისტემა უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებში ამ თვისებების დათრგუნვაზე კონკრეტული მექანიზმებით, მაგალითად, სპეციალისტის ინდივიდუალური მუშაობით.

უფროსების ასეთი დამოკიდებულება, გარკვეულწილად, აისახება მოსწავლეთა შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესზე, თუმცა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, არსებული გენდერული სტერეოტიპები უფრო ხშირად ბიჭებში იჩენს თავს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ კვლევის ფარგლებში ბიჭები უფრო ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას თავიანთ უპირატესობებზე გოგონებთან შედარებით და ოჯახში მამაკაცის მნიშვნელოვან როლზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, იკვეთება გარკვეული კორელაცია მოსწავლეების არაფორმალურ წრეებსა თუ აქტივობებში (რომელთა მუშაობის მთავარი მიმართულებებია ადამიანის უფლებები, დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა) ჩართულობასა და გენდერული კუთხით მათ ტოლერანტულ დამოკიდებულებებს/შეხედულებებს შორის. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წრეები მეტწილად სწორედ გოგონების ინტერესის სფეროებს წარმოადგენს. ეს კი

გვაფიქრებინებს, რომ გოგონების შეხედულებები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო ადეკვატურია, ვიდრე ბიჭებისა.

ძირითადი მიგნებები

საოჯახო აღზრდის პრაქტიკა

- სოციალიზაციის დროს საოჯახო, ანუ კერძო აღზრდის, პასუხისმგებლობა მეტწილად ეკისრება ბავშვის დედას. ამ სოციალურად კონტროლირებად პროცესში, დედის გარდა, ასევე ჩართულნი არიან უმეტესად ოჯახის მდედრობითი სქესის სხვა წევრები – უფროსი და ან ბებია. მამების ჩართულობის ხარისხი ზემოაღნიშნულ პროცესში ხშირად მინიმალურია, რის მიზეზადაც მათი დასაქმება სახელდება.
- აღზრდის ძირითადი პასუხისმგებლობის დედებზე დაკისრებას რესპონდენტები განიხილავენ, როგორც ნორმას, რომელიც გამყარებულია საქართველოს ისტორიული კონტექსტით.
- ახალგაზრდები მეტ-ნაკლებად ჩართულნი არიან საოჯახო საქმიანობების განხორციელების პროცესში, თუმცა, იკვეთება სეგრეგაციის ელემენტები – ერთმანეთისგან გამოყოფილია „ქალისა“ და „კაცის“ საქმეები. მამაკაცის ვალდებულება მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ეზოს მოწესრიგება, ნივთების გადაადგილება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება (საქმიანობები, რომლებიც მოითხოვს ფიზიკურ ძალას), ხოლოს ქალის მოვალეობად მიიჩნევა ჭურჭლის დარეცხვა, დალაგება, საჭმლის მომზადება.
- კვლევაში ჩართულ მოსწავლე ბიჭებს უმეტესად აქვთ საოჯახო საქმიანობებში ჩართვის გამოცდილება, ხოლო მოსწავლე გოგონები, მეტწილად, ახდენენ საკუთარ ვალდებულებათა სტრუქტურიზაციას და აღნიშნავენ, რომ მათი მთავარი მოვალეობა განათლების მიღებაა; შესაბამისად, არ რჩებათ დრო სხვა საოჯახო საქმიანობებში ჩართვისთვის, რის გამოც ოჯახის წევრების მხრიდან ხშირად ხდებიან კრიტიკის ობიექტები.

სკოლამდელი განათლების საფეხური

- სკოლამდელი აღზრდის საფეხური, საბავშვო ბაღის აღმზრდელების აზრით, ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში ხელს უწყობს მათში იმ ძირითადი ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომლებიც ბავშვთა იმანენტური შესაძლებლობებისა და თვისებების რეალიზაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- ბაღის აღმზრდელთა და მშობელთა აზრით, საბავშვო ბაღის გარემო დაცლილია გენდერული სტერეოტიპებისგან. ამის მიზეზად კი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დანერგილ თემატურ სწავლებას ასახელებენ. აღმზრდელთა აზრით, სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს უფრო მეტად აღსაზრდელთა მშობლები ავლენენ.
- ბაღის აღმზრდელთა ნაწილი, ბავშვის მიერ დევიაციური ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს საგანმანათლებლო მექანიზმების არსებობას (სპეციალური კურიკულუმები, მულტიდისციპლინური გუნდის გაძლიერებული მუშაობა და სხვ.), რომელთა დახმარებითაც ბავშვი გაითავისებს საზოგადოების მიერ დაწესებულ სოციალურ ნორმებს.

ზოგადი განათლების საფეხური

- მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა იღებს არაფორმალურ განათლებას სკოლაში ან სკოლის გარეთ. იკვეთება არაფორმალური განათლების დადებითი გავლენა ახალგაზრდის პიროვნული ჩამოყალიბების პროცესზე.
- არაფორმალურ აქტივობებსა (სპორტული აქტივობების გარდა) თუ კლუბებში გოგონები, ბიჭებთან შედარებით, უფრო მეტად არიან ჩართული. ამის მიზეზად სახელდება ბიჭების გენდერული შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც, მსგავს პროცესში ჩართვა აკნინებს მათ მასკულინურ ბუნებას.
- სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის მიმართ ბიჭების პასიურობას ხშირად იწვევს პედაგოგებისა და, საერთოდ, საზოგადოების ლმობიერი დამოკიდებულება მათ მიმართ. შედეგად კი ყალიბდება იმგვარი გარემო, როგორიც მისაღები და სასურველია მამრობითი სქესის მოსწავლეებისთვის.
- სკოლაში კლასგარეშე საქმიანობას, მეტწილად, განსაზღვრავს სქესობრივი იდენტობა. უმეტეს შემთხვევაში, გოგონებს ევალებათ კლასის დალაგება, ღონისძიებების ორგანიზება, ხოლო ბიჭებს – უკვე ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართვა და/ან იმგვარი დავალებების შესრულება, რომლებიც გაიგივებულია „კაცის საქმესთან“ და მოითხოვს ფიზიკურ ძალას.
- გოგონები ხასიათდებიან, როგორც უფრო მეტი პასუხისმგებლობის მქონე მოსწავლეები, ვიდრე ბიჭები. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს, რესპონდენტთა აზრით, აკადემიური მოსწრების კუთხით გარკვეულ უპირატესობას გოგონების სასარგებლოდ.

- პიროვნების კუთვნილება რომელიმე სქესისადმი აღქმულია, როგორც გარკვეული ტექნიკური თუ ჰუმანიტარული საგნების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის და/ან ნიჭის არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.
- პედაგოგების მოსაზრება, რომ ისინი სქესის ნიშნით არ განასხვავებენ მოსწავლეებს და არ უწესებენ მათ განსხვავებულ კრიტერიუმებს, ეწინააღმდეგება მოსწავლეთა მსჯელობას: ეს უკანასკნელნი ასახელებენ განსხვავებულ მახასიათებლებს, რომელთა ქონასაც პედაგოგები მოითხოვენ ბიჭებისა და გოგონებისგან. ამგვარი შედეგი გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ პედაგოგები ვერ ახერხებენ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგებზე თუ სხვა მეთოდებით მიღებული ინფორმაციის/ცოდნის გათავისებას და პრაქტიკაში გადატანას; თეორიული ცოდნა მათ ქცევაში არ ვლინდება.
- მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდამ მომავალი პროფესია დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით უნდა აირჩიოს; თუმცა, მიუთითებენ ამ პროცესში საზოგადოების უხეშ ჩარევაზე, რაც ხშირად განპირობებულია გენდერული სტერეოტიპებით. შესაბამისად, ვიღებთ პროფესიების კატეგორიზაციას – ფემინურად და მასკულინურად მათ დაყოფას.
- კარიერულ წინსვლაზე გავლენის მომხდენ ერთ-ერთ მთავარ ცვლადად სახელდება სქესი, რადგან მიიჩნევა, რომ ქალებს გაცილებით მეტი ბარიერის გადალახვა უწევთ, ვიდრე მამაკაცებს, რაც გამოწვეულია ქალებისთვის მეტი პასუხისმგებლობის დაკისრებით (ოჯახის ყოლა, შვილ(ებ)ის აღზრდა, საოჯახო საქმეების შესრულება და სხვ.).

ოჯახის სტრუქტურა და ბავშვის აღზრდა

ბავშვის სოციალიზაციის პროცესი იწყება ოჯახში მისი აღზრდით. შესაბამისად, თავდაპირველად მნიშვნელოვანია საოჯახო აღზრდის პრინციპების განხილვა. კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მშობლები მეტწილად ცხოვრობენ ოჯახის სამ ან მეტ წევრთან ერთად. გურიასა და ქვემო ქართლში უფრო ხშირად რესპონდენტები ცხოვრობენ გაფართოებული ტიპის ოჯახებში (რომლებშიც ცხოვრობს სამი ან მეტი თაობა), ხოლო თბილისში მცხოვრები რესპონდენტების დიდი ნაწილი – ნუკლეარულ ოჯახებში (რომლებშიც მშობლები მხოლოდ თავიანთ შვილებთან ერთად ცხოვრობენ). მშობლებს უმეტესად ჰყავთ 2 ან 3 შვილი (ძირითადად, ორივე სქესის). ოჯახებში, რომლებშიც მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი ცხოვრობს, ის, მეტწილად, ვაჟია.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვების აღზრდაში უმეტესად ჩართულია დედა. გარდა იმისა, რომ მამები მეტწილად არიან დასაქმებულნი და, უმთავრესად, სწორედ ამის გამო ვერ ახერხებენ შვილების აღზრდის პროცესში აქტიურად ჩართვას, რესპონდენტების ძირითადი ნაწილი შვილის აღზრდის პასუხისმგებლობას სწორედ ქალს აკისრებს. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიდგომის გამო აღნიშნავენ ბავშვებიც, რომ მათი აღზრდის პროცესში გამორჩეულ როლს ასრულებს დედა, ასევე, ხშირ შემთხვევაში, ეს ფუნქცია

ეკისრება ბებიას ან უფროს დას/დებს, მაშინ, როცა აღმზრდელის როლში თითქმის არც ერთხელ არ დასახელებულა ძმა ან ბაბუა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მშობლების ძირითადი ნაწილი, რომელიც ჩართული იყო ფოკუს-ჯგუფებში, არის დასაქმებული და/ან იღებს განათლებას, თუმცა, მათი თქმით, ისინი ახერხებენ, საკუთარი დღე იმგვარად დაგეგმონ, რომ შეუძლიათ ბავშვის აღზრდაზე ძირითადი პასუხიმგებლობის აღება სხვების დახმარების გარეშე. მაგალითად, ისინი ცდილობენ, საკუთარი დღის განრიგი შვილების დღის რეჟიმს შეუთავსონ; უნივერსიტეტში სწავლის შემთხვევაში, აირჩიონ მხოლოდ ის საგნები, რომლებიც არ დაემთხვევა შვილის/შვილების სკოლიდან/საბავშვო ბაღიდან გამოყვანის დროს, ან სხვა აქტივობებს. აღნიშნული, რესპონდენტების თქმით, ზრდის მათ ყოველდღიურ დატვირთვას, თუმცა, უმეტესად, მიიჩნევა, რომ ეს მათი ძირითადი მოვალეობაა, რომელსაც თავი უნდა გაართვან.

„მყავს ორი შვილი, მესამე- და პირველკლასელები, ვარ ასევე სტუდენტი ქართულ-უკრაინულ უნივერსიტეტში. მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ. მე ვარ, ძირითადად, ჩართული [შვილების აღზრდის პროცესში]. ისეთ დროს მაქვს ლექცია, რომ ერთი ცეკვაზეა, მეორე – მუსიკაზე და შუალედი მაქვს ლექციისთვის. არავის არ ვაწუხებ, ისე მაქვს აწყობილი“ (მშობელი).

„მყავს ოთხი შვილი. ვცხოვრობთ მე და ჩემი მეუღლე. ჩემი მეუღლე სულ დაკავებულია. მეც ეხლა გავედი სამსახურში და მთელი ოჯახის საქმეები, აღზრდა და სკოლა ჩემს კისერზეა“ (მშობელი).

„ჩემს შემთხვევაში მთლიანად ჩემზეა პასუხისმგებლობა ოჯახში, სკოლასა და ბაღში. არც დედამთილი მყავს და არც დედა“ (მშობელი).

„ორი სრულწლოვანი და მყავს და დიდი როლი მიუძღვით ჩემს აღზრდაში; მშობლებსაც, მაგრამ დებისგან [უფრო მეტი] მახსოვს“ (მოსწავლე ბიჭი).

გამოკითხული რესპონდენტი ბიჭების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახში „უფროსი“ არის მამაკაცი; შესაბამისად, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც სწორედ ის იღებს. ამ მოსაზრებას ნაკლებად იზიარებენ კვლევაში ჩართული მოსწავლე გოგონები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საოჯახო საკითხები ოჯახის წევრებთან ერთად უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილებაც ერთობლივად უნდა მიიღონ. განსხვავებული შეხედულებები გამოვლინდა ასევე ოჯახის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის შესახებაც. ნაწილი რესპონდენტებისა მიიჩნევს, რომ ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა მამაკაცის ვალდებულებაა, ქალის უპირველეს მოვალეობად კი დედობა სახელდება. ამ მოსაზრებას, ხშირ შემთხვევაში, ამყარებს საბავშვო ბაღში ბავშვების მიერ მორგებული როლები (ქალი – დიასახლისი, ბავშვების აღმზრდელი, მამაკაცი – ოჯახის თანხების განმკარგველი), რომლებიც, ზოგჯერ აღმზრდელების მხრიდანაც არის წახალისებული.

„ოჯახის უფროსად მამაკაცი მიიჩნევა, მას უფრო მეტი უფლება აქვს. ეს [იგულისხმება საკითხის გადაჭრა] უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ მამაკაცს მაინც უფრო ოჯახის უფროსის სახელი აქვს. ოჯახის წარმომადგენელი კაცია“ (მოსწავლე ბიჭი).

„ეხლაც გოგონებს უფრო აინტერესებთ „სახლობანა“, „ექიმობანა“. თამაშის პროცესში ბიჭებიც ძალიან კარგად ერთვებიან, „გოგონების“ თამაშში ისეთ როლს ასახიერებენ, რომელიც, ასე ვთქვათ, „მამაკაცურია“. მაგალითად, [ბიჭი] შეიძლება წავიდეს მაღაზიაში და რაღაცა პროდუქტი მოიტანოს. მქონია მე ასეთი შემთხვევები და ეს ძალიან მომწონს“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„თვითონაც ასეთი აზრი გვაქვს, რომ კაცმა უნდა არჩინოს ოჯახი. რატომ უნდა არჩინოს მარტო კაცმა?! უნდა არჩინოს ქალმაც“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

საოჯახო საქმეებში ჩართულობა

კვლევაში მონაწილე მოსწავლე ბიჭების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი ჩართულნი არიან საოჯახო საქმეებში. მათ მიერ შესრულებული ყოველდღიური საქმიანობა, მეტწილად, მოიცავს საკუთარი ოთახის დალაგებას, უფრო იშვიათად – ჭურჭლის დარეცხვასა და საჭმლის მომზადებას. გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს ემატება ეზოს მოწესრიგება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება და ის საქმიანობები, რომლებიც ფიზიკურ ძალას მოითხოვს, კერძოდ, შეშის დაჩეხა, მძიმე საგნების გადაადგილება და მშენებლობა. მოსწავლე ბიჭების უმრავლესობა განასხვავებს ქალისა და კაცის საოჯახო მოვალეობებს. მათი თქმით, ქალი არის ოჯახში დიასახლისი. შესაბამისად, სწორედ მის მოვალეობაში შედის ისეთი საქმეების შესრულება, როგორიცაა სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, გარეცხვა, მტვრის გადაწმენდა, ხოლო უფრო მძიმე სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობა მამაკაცებს ეკისრებათ. ამ მიდგომას მეტწილად იზიარებენ გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მშობლებიც. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ურთიერთობაზე, როცა ვაჟი მამას ეხმარება სასოფლო-სამეურნეო საქმეების შესრულებაში, ხოლო გოგონა – დედას სახლის დალაგებასა და საჭმლის მომზადებაში. რესპონდენტების აზრით, ეს „ბუნებრივი“ გადანაწილებაა, რადგან ბიჭებს მამებთან ერთად ფიზიკური აქტივობის შესრულება უფრო აინტერესებთ, ვიდრე „ქალის“ საქმეები. იკვეთება, რომ ზოგჯერ, როცა ბავშვი არღვევს ამ „ბუნებრივ“ მდგომარეობას, ეს განიხილება დევიაციურ/ნორმიდან გადახრილ ქცევად და ასეთ შემთხვევაში მშობელი მიუთითებს, კონკრეტულად რა აქტივობით უნდა იყოს დაკავებული მისი შვილი.

„ვინაიდან სოფელში ვცხოვრობ, ყველა სეზონზე რაღაცაა გასაკეთებელი, თუნდაც ბოსტანით რომ დავიწყოთ. სოფელში, მით უმეტეს, არის რაღაცები გასაკეთებელი. მეც, რა თქმა უნდა, ვერთვები საქმიანობებში“ (მოსწავლე ბიჭი).

„მე მიმაჩნია, რომ ასეა [განსხვავდება ბიჭის და გოგოს საქმიანობა]. გოგო უფრო დიასახლისურ რაღაცებს აკეთებს, ვიდრე ბიჭი. ბიჭი უფრო ფიზიკურად [მუშაობს] და ტექნიკასთან დაკავშირებით, თუ რამე გაფუჭდა“ (მოსწავლე ბიჭი).

„გოგონები უფრო საჭმლის მომზადებაში, დალაგებასა და რაიმე მსგავს საქმიანობაში არიან ჩართულები. თუმცა, ასევე შეიძლება ბიჭმაც მიიღოს [მონაწილეობა] და გააკეთოს იგივე საქმიანობა, სამარცხვინო არაა“ (მოსწავლე ბიჭი).

„ჩემთან ძალიან უყვარს [შვილს, გოგონას] ნამცხვრების ცხობა და ცომის ზელა. ბიჭიც სულ სამზარეულოშია და ცოტა მეშინია ამის. სულ ვეუბნები, რომ მამამისი გარეთ არის და იმას მიეხმაროს. სამზარეულოში რომ არის [ბიჭი შვილი], არ მომწონს“ (მშობელი).

მოსწავლე ბიჭების მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ არ არსებობს მსგავსი დაყოფა – „ქალისა“ და „მამაკაცის“ საქმე. მათი აზრით, აღნიშნული მიდგომა სტერეოტიპულია. ისინი ასახელებენ იმ აქტივობებს, რომელთა შესრულებაც, მათი აზრით, საზოგადოებამ ქალს დააკისრა, კერძოდ, საჭმლის მომზადება, დალაგება, ჭურჭლის გარეცხვა. როგორც მშობლების გარკვეული ჯგუფი აღნიშნავს, დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ თავიანთი ვაჟიშვილებისთვის დაენახვებინათ საკუთარი ოთახის დალაგების მნიშვნელობა, ასევე სხვაზე ზრუნვის საჭიროება, რაც, შესაძლოა, გამოიხატებოდეს ჭურჭლის გარეცხვაში ან საჭმლის მომზადებაში. ამგვარად, მშობლების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ შეძლეს ამ უნარ-ჩვევების გაღვივება საკუთარ ვაჟიშვილებში. საბოლოო ჯამში, მშობლებისა და მოსწავლე ბიჭების უმრავლესობა მიუთითებს, რომ მათ შვილებს/მათ შეუძლიათ გარკვეული წვლილის შეტანა ოჯახურ ცხოვრებაში.

„მე მივიჩნევ, რომ არ არსებობს „ქალის“ და „კაცის“ საქმე. უბრალოდ, საზოგადოებაში არის ასეთი დამოკიდებულება, დაყოფილი რაღაც კრიტერიუმების მიხედვით. შეიძლება ვიყო ბიჭი, მაგრამ არც კაცის საქმე გავაკეთო და არც ქალის...“ (მოსწავლე ბიჭი).

„არ აქვს მნიშვნელობა, ბიჭი ხარ თუ გოგო, მთავარია, მშობლებს დავეხმაროთ. ჭურჭელიც გამირეცხავს და ყველაფერსაც გავაკეთებ“ (მოსწავლე ბიჭი).

რაც შეეხება გოგონებს, მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი საოჯახო საქმეებში. მოსწავლე გოგონები, მეტწილად, აღნიშნავენ, რომ მათი მთავარი მოვალეობა განათლების მიღებაა. შესაბამისად, არ რჩებათ დრო საოჯახო საქმიანობებში ჩართვისთვის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მშობელთა ნაწილიც. ამავე დროს, მოსწავლე გოგონები გვესაუბრებიან იმ წნეხზე, რომელსაც გრძნობენ ოჯახის წევრების მხრიდან იმის გამო, რომ არ არიან ჩართულნი საოჯახო საქმეების კეთებაში. გოგონების თქმით, მათგან მოითხოვენ ისეთი აქტივობების შესრულებას, როგორიცაა სახლის დალაგება, ჭურჭლის გარეცხვა, საჭმლის მომზადება, რადგან ეს საქმიანობები განიხილება ქალის ვალდებულებად, ხოლო მათი შეუსრულებლობა იწვევს კამათს შვილებსა და მშობლებს/მეურვეებს შორის. გოგონები ყურადღებას ამახვილებენ იმაზედაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობები, ძირითადად, არ მიიჩნევა „კაცის საქმედ“; შესაბამისად, თუ ბიჭი რომელიმე მათგანს შეასრულებს (რაც, გოგონების აზრით, იშვიათად ხდება), ოჯახის ყველა წევრისგან იმსახურებს შექებას, წახალისებას, მაშინ, როცა გოგონებისგან ელიან, რომ ასეთი აქტივობები მათი ტრადიციული მოვალეობაა, რომლის შესრულებაც ოჯახის წევრების მიერ განსაკუთრებულ აღნიშვნას და, მით უფრო, წახალისებას არ იმსახურებს. ბიჭებისგან განსხვავებით, გოგონების უმრავლესობა

მიიჩნევს, რომ არ არსებობს განსხვავება მამაკაცისა და ქალის საქმეებს შორის, რადგან ნებისმიერი საქმის შესრულება ორივე სქესის წარმომადგენელს თანაბრად შეუძლია.

„სახლში საერთოდ არაფრის კეთება არ მიწევს. თუ მომინდა, მხოლოდ ჩემთვის ვიკეთებ საჭმელს“ (მოსწავლე გოგონა).

„სახლს რაც შეეხება, ჭურჭლის დარეცხვა და დალაგება ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემაა და, როგორც გოგოს, მე ამას მავალებენ და ბიჭებთან მსგავსი დამოკიდებულება არ აქვთ“ (მოსწავლე გოგონა).

„საერთოდ არ ვარ ჩართული, არ ვაკეთებ არაფერს. ძალიან არ მიყვარს. ბევრ რამეს მეუბნებიან: „გოგო ხარ და როგორ არ აკეთებ, მერე პრობლემა იქნება...“ მაგრამ იმდენად არ მაინტერესებს, რომ აზრი არ აქვს“ (მოსწავლე გოგონა).

„გოგონებს ისე უფრო ავალდებულებენ ხოლმე. ჩემს ოჯახში მთხოვენ ჭურჭლის დარეცხვას და სწავლასთან ეს ისე უნდა შევათავსო, რომ ორივე გამოვიდეს“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩემს შემთხვევაში, მე თუ არ ვარ სახლში, ყველაფერს გააკეთებენ, მაგრამ მე თუ სახლში ვარ, თეფშს არ ჩაგიდებენ ნიჟარაში. მიზეზები აქვთ: „ვერ ვასწრებ, სასწავლი მაქვს“... მეც ველარ ვეუბნები ვერაფერს“ (მშობელი).

„ჩემთან არიან ჩართული, მაგრამ სწავლა არის მაინც ამათი საქმე. თუ მეორეხარისხოვანია, კი მეხმარებიან. აი, მაგალითად, გოგონა სახლში მეხმარება საოჯახო საქმეებში, პატარების გართობაში, ბიჭი გარეთ საქმეებში მამას ეხმარება, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც სწავლით არიან დაკავებულები“ (მშობელი).

სკოლამდელი აღზრდა და გენდერული მიდგომები

სოციალიზაციის პროცესში საოჯახო, ანუ კერძო აღზრდის, მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია იდენტიფიცირება ისეთი საგანმანათლებლო ინსტიტუტის წარმომადგენლების მოსაზრებებისა, როგორიცაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მომუშავე აღმზრდელები, რადგან ბავშვები ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ძირითად დროს სწორედ საბავშვო ბაღში ატარებენ.

ბაღის აღმზრდელების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სკოლამდელი აღზრდის პროცესი ბოლო წლების განმავლობაში ბავშვებისთვის უფრო საინტერესო გახდა, რადგან, არსებული სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, პედაგოგები გადავიდნენ **თემატურ სწავლებაზე,** რაც გულისხმობს სხვადასხვა თემაზე შექმნილი სასწავლო პროგრამების დანერგვას. აღმზრდელების თქმით, პროგრამები აღსაზრდელებს აძლევს საშუალებას, გაეცნონ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის, ასევე მეცნიერებისა და ხელოვნების დარგების შესახებ. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, უმეტესად, დავიწყებას მიეცა ე.წ. ზეიმები, რომლებიც, პედაგოგთა უმრავლესობის აზრით, ბავშვისთვის სტრესული,

დამთრგუნველი და დამღლელი იყო. ამიტომ ამ ტიპის ღონისძიებების უარყოფა შეფასებულია დადებითად, ხოლო აღმზრდელთა და მშობელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავს აქტივობებს ჰქონდა დადებითი გავლენა როგორც ბავშვებზე, ასევე მშობლებზედაც, რადგან ამ პროცესში მშობლის ჩართულობის ხარისხი შედარებით მაღალი იყო; ბავშვებიც ორგანიზებული იყვნენ, უვითარდებოდათ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა, პროცესის სტრუქტურირება. შესაბამისად, ე.წ. „ბაღის ზეიმი“ რესპონდენტთა ნაწილისთვის არის ბავშვის იმანენტური ნიჭის წარმოჩენის კარგი საშუალება. სწორედ ამიტომ რეგიონებში იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ ამ მეთოდს და სხვადასხვა დღესასწაულის აღსანიშნავად მართავენ მსგავსი ტიპის ღონისძიებებს.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების უმრავლესობას მიღებული აქვს სკოლამდელი განათლება, მაგრამ ნაკლებად ახსოვთ ის აქტივობები, რომლებსაც ახორციელებდნენ საბავშვო ბაღში; თუმცა, აღნიშნავენ, რომ სკოლამდელი განათლების საფეხურზე თავად აღსაზრდელებს შორის უფრო ნაკლებად შეიმჩნეოდა განსხვავება სქესის ნიშნით. მეორე მხრივ, დასახელდა ის ასპექტები, რომლებიც დროთა განმავლობაში გავლენას ახდენდა მათი გენდერული იდენტობისა და გენდერული შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესზე. მაგალითისთვის, ეს იყო ზემოთ ხსენებული „ზეიმები“, რომელთა მონაწილეებსაც აღმზრდელები უნაწილებდნენ გარკვეულ როლებს. მოსწავლეების თქმით, როლების გადანაწილების პროცესში მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენდა სწორედ სქესი, ასევე, აღსაზრდელის ვიზუალი და მისი შესაძლებლობები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული როლის მორგება ავტომატურად იგივდებოდა რომელიმე სქესთან. ეს არ ეხება ზღაპრის იმ გმირებს, რომელთა სქესიც იმთავითვე ცნობილი იყო. აქ იგულისხმება, მაგალითად, ცხოველები, რომელთა სქესიც ზღაპრებში არ არის დასახელებული, თუმცა, სხვადასხვა ლოგიკით, ისინი აღიქმება მდედრობითი ან მამრობითი სქესის არსებებად.

„მე მახსოვს ბაღის პერიოდი, ყველა ერთად ვთამაშობდით. აი, ზეიმები როცა იყო, მაშინ, ძირითადად, გოგოებზე გადადიოდა [დატვირთვა] – ეს იყო ტექსტები, ლექსები და სიმღერები...“ (მოსწავლე გოგონა).

„მაშინაც იყო დაყოფა [ბაღში], გოგოებს ერთმანეთის თმის დაწვნა ერჩივნათ და ბიჭებს – ჭიდაობა. მე ბიჭებთან ერთად ვიყავი ხოლმე. ამიტომ ჩემი მასწავლებელი „ქაჯანას“ მეძახდა“ (მოსწავლე გოგონა).

„მახსოვს, როდესაც მე და ჩემი მეზობელი სახლში ვთამაშობდით თოჯინებით და მეზობელი ბიჭიც შემოდიოდა, ბებიას გაყავდა ხოლმე, რა გინდა გოგოებთან ერთად, რატომ თამაშობ თოჯინებითო“ (მოსწავლე გოგონა).

„ერთხელ ბაღში ვთამაშობდი მგლის როლს და ძალიან მიხაროდა. სახლში დაბრუნებული ვამბობდი, რომ მე ვასრულებდი ბიჭის როლს და ეს მაგარი მეგონა“ (მოსწავლე გოგონა).

„მე წლების მანძილზე ვაკვირდებოდი ბავშვებს, როგორც ფსიქოლოგი. ბავშვებს ყველანაირი თამაში მოსწონთ, რა თქმა უნდა, რაც აზარტულია, რაც მხიარულებას იწვევს,

მაგრამ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო, ვის რა მოთხოვნები აქვს, რა ინტერესები აქვს. ბიჭებს მოსწონთ წყალთან ლაბორატორიული ცდები, გოგონებსაც, რასაც სახლში უშლიან და, ასევე, ფქვილთან ურთიერთობა სამზარეულოში. ძალიან ერთვებიან შემოქმედებით თამაშებშიც. ასევე მოსწონთ აქტივობები, როცა აღმოჩენებს აკეთებენ“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

რაც შეეხება თემატურ სწავლებას, აღმზრდელების აზრით, ეს მიდგომა მაქსიმალურად გამორიცხავს გენდერული ნიშნით აღსაზრდელების დაყოფასა და დისკრიმინაციას, რადგან ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ძალები სხვადასხვა სფეროში მოსინჯოს. ამ პროცესში, აღმზრდელთა დაკვირვებით, თავად მოსწავლეების ჯგუფებშიც არ შეინიშნება სეგრეგაცია სქესის ნიშნით, რადგან თამაშის პროცესიც იმგვარად არის დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად დაცლილია გენდერული სტერეოტიპებისგან. მაგალითისთვის, რესპონდენტები იხსენებენ აღსაზრდელებს, რომლებიც, მათი სქესის მიუხედავად, თამაშობდნენ იმ სათამაშოებით, რომლებიც საზოგადოების მიერ იდენტიფიცირდება, როგორც კონკრეტულად რომელიმე სქესისთვის დამახასიათებელი ატრიბუტი (ვთქვათ, თოჯინა – გოგონასთვის და მანქანა – ვაჟისთვის). ასეთ შემთხვევაში, აღმზრდელები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მათ არ აქვთ უფლება, ბავშვებს აუკრძალონ კონკრეტული ნივთით თამაში, თუმცა, აქვე მიუთითებენ, რომ უნდა მისცენ მიმართულება საკუთარ აღსაზრდელებს, გააკეთონ სწორი არჩევანი. აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ სკოლამდელ დაწესებულებებში გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას, რადგან ხსენებულ „სწორ არჩევანში“, უმეტეს შემთხვევაში, ისინი მოიაზრებენ საზოგადოების მიერ დაწესებულ ნორმებს, რომლებიც მეტწილად სწორედ სტერეოტიპებით არის ნაკარნახევი. პედაგოგები ბავშვისთვის მიმართულების მიცემის პროცესში მნიშვნელოვან ცვლადად სწორედ მასწავლებლის დამოკიდებულებებსა და მისი პედაგოგიურ მიდგომას ასახელებენ. სტრატეგიები კი ამ მიმართულებით განსხვავებულია. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბავშვებს სხვადასხვა ინტერესი აქვთ, ამიტომ უფროსებმა უნდა მისცენ თავისუფლება; პედაგოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ინტერესის დაკმაყოფილების შემდეგ ბავშვებს მალევე მობეზრდებათ მათი სქესისთვის საზოგადოებისგან დევიაციად აღქმული სათამაშოებით თამაში. გამოითქვა რადიკალური მოსაზრებებიც, რომ ბავშვებისთვის, განსაკუთრებით ბიჭებისთვის, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ფემინური ქცევისკენ, არსებობდეს სპეციალური პროგრამა, რომელიც დაეხმარება ბავშვს, „დაძლიოს“ ფემინურობა საკუთარ თავში. რესპონდენტები ვერ ასახელებენ, რა ტიპის უნდა იყოს მსგავსი პროგრამა, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს რთული საკითხია და მათ კვალიფიკაციას აღემატება; თუმცა, აღნიშნავენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები ბაღის ასაკიდანვე ავლენენ გარკვეულ მიდრეკილებას ფემინური ქცევისადმი, რაც თავიდანვე უნდა იქნეს გამოვლენილი და არსებობდეს რეაგირების გზები, რათა თავიდან იქნეს აცილებული შედეგი, რომელიც, შესაძლოა, გამოვლინდეს თუნდაც ინდივიდის მიერ სქესობრივი იდენტობის შეცვლაში. ეს უკანასკნელი, რესპონდენტთა აზრით, საკმაოდ ნეგატიური მოვლენაა. ამასთან ერთად, მიიჩნევა, რომ ამ პირობებში, თავად მშობელს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი, მართოს შვილის ქცევა; კერძოდ, ბაღის აღმზრდელთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ, თუ აღსაზრდელი გოგონა ამჟღავნებს ინტერესს ე.წ. „ბიჭური“

ჩაცმის სტილის, ვარცხნილობისა და თამაშების მიმართ, მშობელმა მას უნდა დაუწესოს გარკვეული განრიგი, როცა გოგონა ჩაიცვამს კაბას, დედასთან ერთად გაიკეთებს ვარცხნილობას ან თუნდაც მსუბუქ მაკიაჟს, რაც ერთგვარი მიმართულება გახდება ბავშვისთვის აღზრდის პროცესში.

„ბაღიდან იწყება ეს გენდერული თანასწორობა. ადრეც ხომ იყო, რუსთაველი ამბობდა, ლეკვი ლომისა სწორიაო. დღეს გოგონების 80% მანქანას ატარებს, მაგრამ მაინც უნდა იყოს წითელი ხაზი. მე, მაგალითად, რომ იზრდებიან და სქესს იცვლიან, არ მომწონს. ასეთ შემთხვევაში შევთავაზოთ უნდა რაიმე პროგრამა, აქედანვე უნდა ჩაიდოს" (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„ვიცნობ გოგოს, [რომელიც] იცვამს ბიჭივით, იქცევა ბიჭივით, საუბრობს ბიჭივით, აბსოლუტურად ბიჭია. ვერც კი შენიშნავ, რომ გოგონაა. მას ბაღის ასაკში სკოლის ასაკში არავინ მისცა მიმართულება, რომ არის გოგო. ჩაიცვა შარვალი... გავიდა, შეშა დაჩეხა, ზემოქმედება არავის მოუხდენია. ... ჩაიცვას შარვალი, მაგრამ, მოდი, თვეში ერთხელ ჩავიცვათ კაბა. მოდი, გავიპრანჭოთ. ... მე რომ ჩემი სამი წლის გოგონას შევჭრა თმები, ჩავაცვა შარვალი... ბიჭებიც მყავს და ჭიდაობს კიდევაც [გოგონა], ბიჭივითაც იქცევა, მაგრამ მე მაინც მასთან მარტო რომ ვრჩები, ვიპრანჭებით ერთად, ვწესრიგდებით ერთნაირად, იმიტომ რომ ჩვენ გოგონები ვართ და მაინც ბიჭებისგან გამოყოფილები ვართ. მას აქვს გოგონების გარდერობი, სადაც ბევრი ჭრელი კაბა აქვს. მე მინდა, რომ ჩემმა გოგონამ იცოდეს, რომ გოგონაა და, როგორც გოგო, ისე უნდა მოიქცეს. მაინც გოგონაა და ზრდილობაც უნდა ჰქონდეს და სინაზეც. რატომ არ უნდა იყოს ნაზი, ის ხომ გოგონაა და სუსტია" (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„რომ გავივლი და ბიჭი ბორდიურზე ზის, ჩემთვის არ წარმოადგენს არაფერს, მაგრამ გოგო ნამდვილად არ მომეწონება. მე ჩემს გულში გავიფიქრებ, თორემ კომენტარს არ გავაკეთებ. არ ვისურვებდი, ჩემი შვილი, გოგონა, რომ მასე მოიქცეს. ბიჭზე ამაზე აქცენტს არ გავაკეთებ" (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

ბაღის აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ სააღმზრდელო პროცესში მოსწავლეები გენდერული დისკრიმინაციისგან დაცულნი არიან, რადგან გარემო არის ინკლუზიური და მაქსიმალურად მორგებული ბავშვთა საჭიროებებზე; თუმცა, ყურადღებას ამახვილებენ მშობლების დამოკიდებულებებზე, რომლებიც, მათი აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში სტერეოტიპულია. უმეტესად, ეს ეხება თამაშებს, რომლებიც ზოგიერთი მშობლისთვის მიუღებელია. ბაღის აღმზრდელების თქმით, უფრო მეტად უკმაყოფილებას გამოთქვამენ მამები თავიანთ ვაჟიშვილებთან დაკავშირებით. რესპონდენტების აზრით, მშობლებს არ მოსწონთ, როცა მათი ბიჭები თამაშობენ „სახლობანას", რომლის ფარგლებშიც ალაგებენ ოთახს, რეცხავენ ჭურჭელს. მსგავსი პრეტენზია მშობლების ნაწილს გაუჟღერებია თავად პედაგოგთანაც და შენიშვნაც მიუცია მისთვის. სწორედ მსგავსი პრეცედენტების გამო აღმზრდელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გენდერული სტერეოტიპები, როგორიცაა ფერების განსხვავება (ვარდისფერი გოგონას ფერია, ცისფერი – ბიჭის), თამაშის სტილი (ბიჭები მანქანებით თამაშობენ, გოგონები – თოჯინებით) უფრო მეტად ოჯახების მიდგომის შედეგია, ვიდრე საბავშვო ბაღის პედაგოგებისა. აღნიშნავენ იმასაც, რომ

დღესდღეობით გენდერული ნიშნით განსხვავება აღარ არის ისეთი გამოკვეთილი, როგორიც წარსულში იყო. ამის თქმის საფუძველს კი აძლევთ ახალგაზრდა მშობლები, განსაკუთრებით მამები, რომლებიც, აღმზრდელების დაკვირვებით, აქტიურად არიან ჩართულნი შვილების აღზრდის პროცესში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღმზრდელები მნიშვნელობას ანიჭებენ ბაღის პედაგოგის ასაკს, რადგან მიიჩნევენ, რომ ხანშიშესულ აღმზრდელებს უფრო მეტად აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება გენდერული (და არა მხოლოდ გენდერული) საკითხების მიმართ, ვიდრე ახალგაზრდებს.

„სანამ პანდემია დაიწყებოდა, როდესაც ბავშვები დაამთავრებდნენ საუზმეს ან სადილს, ვცდილობდით, მიგვეჩვია ისინი, რომ სკამები გადაეტანათ წრეზე; ან, როდესაც სახლში მიდიოდნენ, სათამაშოები მიელაგებინათ. ერთ დღეს ერთი ბავშვი ამას კატეგორიულად არ აკეთებდა. ამან დაგვაინტერესა. მანამდე ისეთი აქტიური იყო ყოველთვის ცდილობდა, თვითონ გაეკეთებინა ყველაფერი. არაფრით არ ამბობდა, [რა ხდებოდა]. შემდეგ, როდესაც თავისუფალი დრო იყო და ბავშვებთან თამაშობდა, ბავშვებს უყვებოდა, მამიკო გამიბრაზდა, შენ იქ დამლაგებლად არ დადიხარო. ჩავეძიეთ მერე, რატომ არ ალაგებო, და გამოტყდა, მამიკომ მითხრა, ეს კაცის საქმე არააო. მშობლებისგან უფრო მოდის ეს“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„გვქონდა ღონისძიება და ჩავაცვით კურდღლის ფორმა [ბავშვს]. იყო ცოტა ისეთი ფერი. ბავშვს არ გამოუხატავს პროტესტი, თუმცა, მშობელი მოვიდა და მეუბნება, რომ ბავშვს ეს ფერი არ მოსწონსო, მეორე ბავშვს რომ აცვია, ისეთი ფერი მინდაო. აბრალებდა ბავშვს და მაინც ჩანდა, რომ უფრო მშობლისგან მოდიოდა. და ეს სტერეოტიპები სანამ არ დაიმსხვრევა, ეს სულ დარჩება“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„ზეიმებთან დაკავშირებით განაცხადა ერთმა მშობელმა, რომ ჩემს შვილს „ჭიამაიას“ ფორმა რატომ ჩააცვითო. რატომ იყო ჭიამაია გოგოსთვის და არა ბიჭისთვის, დღემდე გაუგებარია ჩემთვის“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„განსაკუთრებით ბიჭებს აქვთ სკამებზე გართულება, ვარდისფერი სკამი ან წითელი გოგოს ფერია და არ უნდათ [ბიჭებს], რომ იმაზე დასხდნენ. განსაკუთრებით ამაზეა ხოლმე აქცენტი. სხვა ისეთი არაფერი შემინიშნავს. ოჯახიდან მოდის ეს გავლენა და გამჯდარია ბავშვებში და მოაქვთ მერე ბაღშიც. მუცლიდან არავინ არ არჩევს ფერებს“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„ახალი თაობის დედები, მამებიც, ვფიქრობ, არ ფიქრობენ ასე [სტერეოტიპულად]. ბაბუებს და ბებიებს უფრო აქვთ ბიჭი შვილიშვილების მიმართ: „კაცი ხარ და კაცები არ ტირიან“ – ეს ოჯახიდან მოდის უფრო“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„ასაკოვან პედაგოგებს ვგულისხმობ, რაც არ უნდა გეგმა დაუდოს ხელმძღვანელობამ, მაინც ვფიქრობ, რომ მათ მაინც აქვთ ჩანერგილი გადმონაშთი იმ ძველი მეთოდების, გავლენა აქვთ ბავშვებზე. შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ან ასაკობრივად კი არ ვყოფ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ, რაც უფრო მეტი ახალგაზრდა იმუშავებს ბაღში ბავშვებთან, მით უკეთესი იქნება“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული სუბკულტურების ცხოვრების წესსა და ჩვეულებებს. ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონებს, სადაც ამა თუ იმ თემში განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ბაღის აღმზრდელები მიუთითებენ, რომ სუბკულტურების წარმომადგენელთა შვილები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ თავის დამკვიდრებას სააღმზრდელო პროცესში. ამის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. მათ შორისაა ენობრივი ბარიერი. ბავშვების ნაწილი ვერ მეტყველებს ქართულ ენაზე, რაც, კომუნიკაციის პროცესს ძალიან აფერხებს. გარდა ამისა, კონკრეტული რელიგიური ჯგუფების წეს-ჩვეულებები კრძალავს სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვას, რაც აგრეთვე სტრესულია ბავშვებისთვის. აღმზრდელთა თქმით, ამ ჯგუფების წევრები ნაკლებად ეკონტაქტებიან განსხვავებული სქესის თანატოლებსაც. ეს კი წარმოქმნის სირთულეებს გუნდურობის მნიშვნელობის გააზრებაში. უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტთა აზრით, არ არსებობს ეფექტური სტრატეგიები ამ პრობლემების გადასაჭრელად.

არაფორმალური განათლება სკოლაში

სასკოლო კლუბები

კვლევის შედეგების მიხედვით, სკოლებში არსებობს სხვადასხვა კლუბი, რომელთა მუშაობის პროცესში ჩართულნი არიან მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში აღნიშნულმა კლუბებმა ფუნქციონირება შეწყვიტა. რესპონდენტების მიერ, უმეტესწილად, დასახელდა მუსიკის, ცეკვის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, ლიტერატურული, სამოქალაქო განათლების და ეკო- კლუბები, რომლებიც ფუნქციონირებს სკოლების ბაზაზე. თბილისისგან განსხვავებით, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონების სკოლებში, ასევე, მუშაობს პროფესიულ კოლეჯებთან არსებული კლუბები, რომლებშიც ეუფლებიან მზარეულობას, გიდობას, სტილისტობასა და ჭრა-კერვას. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ჩართულია ზემოაღნიშნულ საკლუბო მუშაობაში, თუმცა, ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით – თბილისში, როცა მშობლებიც და მოსწავლეებიც უპირატესობას ანიჭებენ არასასკოლო წრეებს. ამის მიზეზად რესპონდენტები მოსწავლეთა ინტერესებს ასახელებენ – განსაკუთრებით თბილისში, სადაც შესაძლებლობებიც და რესურსებიც ამ მიმართულებით შედარებით მრავალფეროვანია, ვიდრე რეგიონებში და, მით უმეტეს, სოფლებში. მშობელთა თქმით, მოსწავლეები ძალიან დაინტერესებულნი არიან ცურვის, ჩოგბურთისა და სხვა კლუბებით, რომლებიც ნაკლებად ფუნქციონირებს საჯარო სკოლებში. მეორე მიზეზი მოსწავლეთა გადატვირთული გრაფიკია, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რეპეტიტორის ინსტიტუტი. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული მოსწავლეების უმრავლესობა (განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე – მე-10-მე-12 კლასები) დამატებით ემზადება სხვადასხვა სასკოლო საგანში.

რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტები ხაზს უსვამენ იმას, რომ სოფლად ბევრი პრობლემა იკვეთება არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით;

კერძოდ, რეგიონებში მოქმედი მცირეკონტინგენტიანი სკოლების დირექტორების თქმით, კლუბის ჩამოყალიბება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რის რესურსიც სკოლას არ გააჩნია. მეტწილად, ისინი დამოკიდებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებზე, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კლუბის მუშაობა მიბმულია კონკრეტულ პროექტზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, სრულდება და კლუბი კარგავს მდგრადობას, ბოლოს კი წყვეტს მუშაობას.

„იყო [სკოლაში] თეატრალური წრე და ჩართული იყო ბავშვი, იყო ასევე კარატეს და სხვადასხვა წრეც... მაგრამ იმდენად დატვირთულები არიან კერძო გაკვეთილებით, რომ, ერთი წრის გარდა, სხვა წრეებზე ფიზიკურად ვერ ასწრებდნენ ბავშვები სიარულს“ (მშობელი).

„ჩვენს სკოლაშიც ბევრი წრეა – ჭადრაკის, ცეკვის, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“, ფრენბურთის და კალათბურთის კლუბები. ჩვენ სხვა მიმართულებით ვიყავით დატვირთული და [ბავშვები] სკოლის კლუბებში არ ყოფილან ჩართული“ (მშობელი).

„ჭრა-კერვასთან დაკავშირებით არის, კი ბატონო, სტილისტობასთანაც მასეა [გოგონები არიან, ძირითადად]. ხელოვნების მასწავლებელი ატარებდა თექაზე გაკვეთილებს და გოგონების აშკარად მეტი რაოდენობა იყო. კულინარიაში, მაგალითად, ბიჭები წამოვიდნენ წინა პლანზე, ბულალტერიის წრეზე დაინტერესება იყო ძალიან თანაბარი. ჩვენც ვხედავთ განსხვავებას“ (სკოლის პედაგოგი).

„სამწუხაროდ, სოფლის სკოლები არ არიან ამით განებივრებული. სამწუხაროდ, არ არიან ბავშვები ჩართული“ (მშობელი).

რაც შეეხება კლუბებში მოსწავლეების გადანაწილებას, რესპონდენტების თქმით, ამას მეტწილად თავად ბავშვის ინტერესი განაპირობებს, თუმცა დისკუსიის პროცესში გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლებიც სწორედ ამ ინტერესის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი არის სქესი. მოსწავლეების თქმით, სპორტულ კლუბებში უმეტესად გაწევრებულნი არიან ბიჭები და ამას ხსნიან მიდგომით, რომ სპორტი, ძირითადად, ბიჭებს აინტერესებთ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები საუბრობენ ასევე იმ იშვიათ შემთხვევებზე, როცა სპორტულ კლუბების წევრები არიან გოგონებიც, რაც ხშირად ეწინააღმდეგება მათ მოლოდინს და სახელდება, როგორც პრეცედენტი ან „უცნაური“ გამონაკლისი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების უმრავლესობა მსგავსი პრეცედენტების მიმართ ნეგატიურად არ არის განწყობილი. მიუხედავად ამისა, იკვეთება შემთხვევები, როცა არასრულწლოვნის ინტერესი, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების მოლოდინს, ფასდება შეუსაბამოდ და მოზარდი ხდება ბულინგის და/ან კრიტიკის მსხვერპლი. განსაკუთრებით გამოიკვეთა ბიჭების დაინტერესება ჭრა-კერვის კურსით და გოგონების ჩართვა კარატეს, რაგბისა და სპორტის სხვა ძალისმიერი სახეობების შემსწავლელ წრეებში. რესპონდენტების თქმით, მათ ოჯახისა და საზოგადოების წევრებისგან ზოგჯერ მიუღიათ შენიშვნა, რომ ზემოაღნიშნული ქალს არ შეეფერებოდა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ისიც, რომ, გარდა დიქოტომიური დაყოფისა – ქალისა და კაცის ინტერესები – და ამ ორ ცვლადში სფეროების გადანაწილებისა, იკვეთება ფემინურობის მახასიათებლების დაკარგვის საფრთხე.

რესპონდენტების თქმით, მათ ხშირად მოუსმენიათ უფროსებისგან, რომ სპორტული აქტივობები საფრთხეს უქმნის ქალის საყოველთაოდ დადგენილ სტანდარტებს; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ქალის კუნთოვანი ნაწილების გამოკვეთა, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი განიხილავს, როგორც მასკულინურ მახასიათებელს. გარდა ამისა, კვლევაში ჩართული ბიჭი მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ ჭადრაკის კლუბებზე, რომლებიც ფუნქციონირებს სხვადასხვა სკოლის ბაზაზე. რესპონდენტების თქმით, გოგონები სპორტის ამ სახეობით ნაკლებად ინტერესდებიან, რადგან ჭადრაკი მიჩნეულია მათთვის რთულ თამაშად, რომელიც მოითხოვს მათემატიკურ აზროვნებასა და ანალიზის გამორჩეულ უნარს. შესაბამისად, რესპონდენტთა ნაწილი ჭადრაკის კლუბებში გოგონების სიმცირეს მათში ამ უნარ-ჩვევების ნაკლებობით ხსნის.

„ბევრს არ მოსწონს, გოგო კარატეზე რომ დადის, აგებულებას ხელს უშლისო. მაგრამ მე არ ვაპირებ, რომ ამას გავყვე. უბრალოდ, რამდენიმე თვე მინდა, რომ ვიცოდე და გამოცდილება მქონდეს. მეუბნებოდნენ, რომ გოგოსთვის კარატე არ არისო. გოგო რომ ვარ, რა მოხდა მერე?!“ (მოსწავლე გოგონა).

„მე როგორც მახსოვს, ბიჭები იყვნენ ჭადრაკში. ალბათ, ბიჭებს უფრო აქვთ სტრატეგიული აზროვნება და ამიტომაც დაინტერესება აქეთაა“ (მოსწავლე ბიჭი).

„პირადად ჩემს შემთხვევაში, ჩემს თავზე ვისაუბრებ. გულწრფელი ვიქნები, ბიჭ თანაკლასელს ჭრა-კერვა რომ აერჩია, გავიცინებდით ერთს, მაგრამ არა მგონია, ხანგრძლივი დაცინვის ობიექტი გამხდარიყო“ (მოსწავლე ბიჭი).

„ჩვენს სკოლაში, სპორტს ვგულისხმობ, უფრო მეტად ბიჭები არიან ხოლმე დაინტერესებული. ძალიან პოპულარულია რაგბი, იქიდან გამომდინარე, რომ მწვრთნელი საქართველოს მასშტაბით ცნობილია, ჩვენი სკოლის მშობელია. გოგონები, ცხადია, ამ სპორტს არ მისდევენ. დომინანტები ისევ ბიჭები რჩებიან“ (სკოლის პედაგოგი).

„დაკვირვებული ვარ, როდესაც მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება კლასში, გამავრცელებელი არის ქალი და პროექტის წამომწყებიც ქალია. რომ მოდის წარმომადგენელი და ავრცელებს ინფორმაციას, არის ქალი და, შესაბამისად, ერთვებიან ქალები, რატომღაც დაყოფილები არიან ხოლმე – ბიჭები ჯგუფებად, გოგოები ჯგუფებად. თუკი სულ გოგოები ჩაერთვებიან, რატომღაც ჰგონიათ ბიჭებს, რომ მარტო იქნებიან და არ მოსწონთ და არ უნდათ“ (მოსწავლე გოგონა).

სავარაუდოა, რომ სწორედ ზემოაღნიშნული დამოკიდებულებები განაპირობებს მასწავლებელთა ნაწილის მიდგომას, მოსწავლის კონკრეტული კლუბის წევრად გახდომისთვის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად სწორედ სქესი გამოიყენოს. ამაზე მეტყველებს მოსწავლეთა გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობს ბავშვების შერჩევა კონკრეტული საკლუბო ჯგუფისთვის. რესპონდენტების თქმით, სპორტულ აქტივობებში ჩართვას მეტწილად მოსწავლე ბიჭებს სთავაზობენ, ხოლო წრეებში, რომლებიც მოითხოვდა კრეატიულობას, პასუხისმგებლობასა და გონებრივ დატვირთვას, უფრო მეტად იკვეთება გოგონების როლი. აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ არაფორმალურ წრეებში ჩართულობა გოგონებისთვის უფრო არის დამახასიათებელი,

ვიდრე ბიჭებისთვის. რესპონდენტი გოგონები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში მსგავს კლუბურ აქტივობებში მონაწილეობა ბიჭებისთვის „ქალურ საქმესთან“ ასოცირდება. მათ სჯერათ, რომ ჭრა-კერვის, ქარგვის, თეატრალურ კლუბებში ჩართვა ეწინააღმდეგება მასკულინურ პრინციპებს და თანატოლების მხრიდან ბიჭი უფრო მეტად გახდება დაცინვის მსხვერპლი, ვიდრე გოგონა.

„[მასწავლებლები] ბიჭებს უფრო ფიზიკურ დატვირთვას, კალათბურთს, ფეხბურთს, უფრო სპორტს, გოგოებს უფრო შემეცნებით წრეებს სთავაზობენ“ (მოსწავლე ბიჭი).

„ჩვენთან კლუბში ჩვენ [გოგონები] ვგეგმავდით ყველაფერს, ძალიან შესამჩნევი იყო გოგონების აქტიურობა და მეტად გამოირჩეოდნენ ლიდერული თვისებებით“ (მოსწავლე გოგონა).

სასკოლო აქტივობები

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ სკოლებში სხვადასხვა ტიპის აქტივობები იგეგმება. მათ შორის არის კონკრეტული დღესასწაულის აღსანიშნავად მომზადებული ღონისძიებები, სასკოლო პროექტები, სპორტული შეჯიბრებები, საქველმოქმედო აქციები, თეატრალური პერფორმანსები და სხვ. გამოიკვეთა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობებში გოგონების ჩართულობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ბიჭებისა. ამაზე მიუთითებენ როგორც თავად მოსწავლეები, ასევე პედაგოგებიც და მშობლებიც. კვლევის მონაწილე გოგონები აღნიშნავდნენ, რომ სასკოლო ღონისძიებებში ჩართვის სურვილი ბევრ მოსწავლეს არ აქვს, თუმცა, ამ მხრივ, გაცილებით პასიურნი ბიჭები არიან. აქედან გამომდინარე, პედაგოგებიც, საბოლოო ჯამში, მოსწავლე გოგონებს სთხოვენ ღონისძიებებში მონაწილეობას. ამის მიზეზად თავად გოგონები ასახელებენ ორ ძირითად ფაქტორს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ინდივიდის სქესს. პირველი არის მაღალი აკადემიური მოსწრება, რომელიც, რესპონდენტების დიდი ნაწილის შეფასებით, გოგონებს უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე ბიჭებს, და, ამასთან, პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ქალის ბუნების განუყოფელ მახასიათებლად აღიქმება.

„ვერ ვხვდები, რატომ [უნდათ], მაინცდამაინც გოგონები ჩართონ მსგავს პროექტებში? შეიძლება ბიჭებიც... ჩართოს [მასწავლებელმა], მით უმეტეს, რომ სკოლაში გვყავს ბიჭები, რომლებიც აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან. მაინც არჩევანი კეთდება გოგოებზე. ალბათ, ბუნებიდან გამომდინარე, უარს რომ არ ამბობენ გოგოები. არ ვიცი“ (მოსწავლე გოგონა).

„ვისაც კარგი ნიშანი აქვს და იციან [მასწავლებლებმა], რომ კარგად სწავლობს, რა თქმა უნდა, მეტი შანსი ეძლევა, რომ გამოიჩინოს თავი. აკადემიური მოსწრება მაინც ახდენს გავლენას“ (მოსწავლე გოგონა).

„ძირითადად, მაინც, თუ განსაკუთრებულად არ ხარ გამორჩეული, არ გთხოვენ მონაწილეობის მიღებას [რომელიმე აქტივობაში]... მასწავლებელსაც არ უნდა, ცოტა სუსტი მოსწავლე ჰყავდეს“ (მოსწავლე ბიჭი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიკვეთა, რომ ბიჭების პასიურობა ხშირად განაპირობებს სხვების მიერ (პედაგოგები, მშობლები) მათთვის კომფორტული გარემოს შექმნას. აღნიშნული მოიცავს ბიჭებზე მორგებული გარემოს შექმნას, მათთვის ნაკლები პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მათ მიერ შესრულებული საქმის აღიარებას პედაგოგების მხრიდან. ამგვარ დამოკიდებულებას ამჩნევენ გოგონები, რომელთა თქმითაც, ბიჭები ხშირად წაუხალისებიათ და შეუქიათ უფროსებს იმ საქმის შესრულების გამო, რომლის გაკეთებაც გოგონას მიერ, ძირითადად, ბუნებრივად აღიქმება, როგორც მისი ვალდებულება. განსაკუთრებით ეს ეხება სასკოლო ღონისძიებებს, თეატრალურ დადგმებს, სადაც ძირითად სამუშაოს – სცენარის მომზადება, მონაწილეების ორგანიზება, ტექნიკური საკითხების მოგვარება – გოგონები ასრულებენ, ხოლო ბიჭები, უმეტესად, მხოლოდ მათთვის სასურველ როლებს ირგებენ და მინიმალურად არიან დატვირთული. მიუხედავად ამისა, გოგონების თქმით, ამგვარი მიდგომა ბიჭების მოტივაციის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია. სკოლაში პედაგოგებისთვის ისედაც ცნობილია, რა შესაძლებლობებს ფლობს კონკრეტული მოსწავლე. რაც შეეხება ბიჭებს, ისინი მიიჩნევენ, რომ აქტივობებში ჩართვით თანაბრად არიან დაინტერესებული გოგონებიც და ვაჟებიც; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ბავშვის ინტერესსა და სურვილს, მიიღებს თუ არა იგი მონაწილეობას შეთავაზებულ ღონისძიებაში. ისინი არ ეთანხმებიან რესპონდენტ გოგონებს, რომ პედაგოგები ბიჭებისთვის კომფორტის ზონას ქმნიან; პირიქით, მიიჩნევენ, რომ გოგონებს, მათი ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მეტად აქვთ შესაძლებლობა, წარმოაჩინონ საკუთარი თავი და შესაძლებლობები.

„შესრულებით კარგად ასრულებდნენ [ბიჭები], მაგრამ ინიციატივა უფრო გოგოების იყო. მთავარ როლს ბიჭები ასრულებდნენ“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩვენთან გოგოებში ლიდერობას იმდენად აღარ აფასებენ. ისედაც ჩანს გამოკვეთილად, ვინ არის ლიდერი და ვინ – ნაკლებად. ბიჭებში აფასებენ იმას, ელემენტარულს რომ მისცემენ სიტყვას, ის ისწავლონ და რაღაცა მაინც გააკეთონ“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩემს კლასში, როგორც გითხარით, გოგოები უფრო მონდომებულები ვართ, რომ მივიღოთ რაღაცებში მონაწილეობა. ჩვენს ხელში ბიჭები იჩაგრებიან და მასწავლებელი ცდილობს, ბიჭი იყოს ხოლმე ლიდერი, რომ არ დაიჩაგრონ“ (მოსწავლე გოგონა).

აღსანიშნავია, რომ სკოლის თვითმმართველობაშიც, რომელიც სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართვის უზრუნველყოფის მთავარი გარანტი უნდა იყოს, უმეტესად გოგონები აქტიურობენ. რესპონდენტების თქმით, ძირითადად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების სიჭარბე შეინიშნება, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, თვითმმართველობის თავმჯდომარე არის ბიჭი. რესპონდენტებს არც ერთხელ არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება ზემოთქმულის მიმართ. გოგონები მეტწილად ყურადღებას ამახვილებდნენ თვითმმართველობის თავმჯდომარის დადებით თვისებებზე, რაც, მათი აზრით, მის არჩევას განაპირობებდა.

„თვითმმართველობა რომ ვახსენე, მანდ ბიჭებიც არიან ჩართულები. ლიდერები, ძირითადად, ბიჭები იყვნენ“ (მოსწავლე გოგონა).

„მეც თვითმმართველობაში ვარ. რაოდენობით უფრო მეტი გოგოა. შარშან გვყავდა თვითმმართველობის პრეზიდენტი ბიჭი. წელს პანდემია იყო და...“ (მოსწავლე გოგონა).

გარდა ღონისძიებებისა, საყურადღებოა სასკოლო ექსკურსიებიც, რომელთა დაგეგმვის პროცესში, ძირითადად, საქმიანობები გოგონებსა და ბიჭებს შორის საშუალო საფეხურზე იმგვარად ნაწილდება, რომ გოგონები პასუხისმგებლობას იღებენ მენიუს შედგენაზე, გამგზავრების ორგანიზებაზე, თანხის შეგროვებასა და ადგილის შერჩევაზე, ბიჭების მოვალეობები კი უმეტესად განისაზღვრება შეგროვებული თანხის განკარგვით, საჭირო ნივთების შეძენით და ტრანსპორტის მოძიებით. ბიჭების თქმით, გოგონები უფრო გამოირჩევიან ორგანიზატორული უნარით, ვიდრე ვაჟები. ამიტომ საქმის გადანაწილების დროს სწორედ ერთმანეთის შესაძლებლობებს ითვალისწინებენ და ამის შედეგია არსებული სტატუს-კვო.

„ჩვენთან უფრო გოგონები წყვეტენ ყველაფერს. ბიჭები გეგმავენ სადღაც წასვლას და გოგონები ორგანიზებას უკეთებენ. თან ჩვენი დამრიგებლის შვილი არის გოგო და, თუ რამეს ვაკეთებთ, მას ვეუბნებით და გვეხმარება. ბიჭებს გვევალება ხოლმე ფულის შეგროვება ან რაიმეს ყიდვა, რაც გოგოებს არ შეუძლიათ“ (მოსწავლე ბიჭი).

„ჩვენთან ბიჭები წინასწარ დავგეგმავთ ხოლმე და მერე გოგონები ასრულებენ“ (მოსწავლე ბიჭი).

კლასის საქმიანობის კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს თავად აქვთ შედგენილი განრიგი, რომელი მოსწავლე დაალაგებს საკლასო ოთახს დღის განმავლობაში. მოსწავლეების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ განრიგი მეტწილად უფუნქციოა, რადგან ბიჭები ამ საქმიანობას თითქმის არასდროს ასრულებენ. მეტიც, ზოგიერთ განრიგში ბიჭების სახელები არც კი არის მოხსენიებული და ოთახის დალაგება მხოლოდ გოგონების ვალდებულებად განიხილება. ამგვარი მიდგომა რესპონდენტების უმეტესობისთვის ბუნებრივია, რადგან მიიჩნევა, რომ ბიჭებს უფრო მეტად ევალებათ შედარებით მძიმე სამუშაოს გაკეთება. სკოლის პირობებში ეს შეიძლება იყოს მერხისა და სხვა სახის ინვენტარის გადაადგილება, ყველაფერი ის, რაც საჭიროებს ფიზიკური ძალის გამოყენებას. პედაგოგების უმრავლესობაც აღნიშნავს, რომ სასკოლო ცხოვრებაში ისინი არ განასხვავებენ მოსწავლეებს სქესის მიხედვით და მოზარდებს რაიმე საქმის შესრულებას ავალებენ მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ამიტომ მათთვის ბუნებრივია, რომ ბიჭები ფიზიკური ძალის გამოყენებით უკეთ გააკეთებენ გარკვეულ საქმეს, ვიდრე გოგონები.

„იყო ერთი დღე, „შაბათობას“ ვეძახდით და ვალაგებდით. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ბიჭს და გოგოს ერთნაირ რამეს ვერ დაავალებ. დალაგებას უფრო გოგონებს ავალებენ და ბიჭებს – უფრო ფიზიკურად გადაადგილება თუ იყო საჭირო ან რაიმე მსგავსი“ (მოსწავლე ბიჭი).

„ჩვენ კლასში მორიგეობის ცხრილი გვაქვს და მხოლოდ გოგოები ვმორიგეობთ ყოველდღე“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩვენთან დაისვარა კედლები. სასწავლო ნაწილს ცუდი რეაქცია ჰქონდა ამაზე და დამრიგებელმა გვთხოვა, რომ გაგვეწმინდა კედლები. მაინც... იგრძნობოდა, რომ გოგონებისგან უფრო ითხოვდა ამას, ვიდრე ბიჭებისგან. ჩემმა მეგობარმა მომიყვა მსგავსი შემთხვევა, რომ ბიჭებმა დასვარეს კედელი და გოგოებს დაავალეს გაწმენდა, თან დაჟინებით“ (მოსწავლე გოგონა).

კვლევის შედეგების მიხედვით, იკვეთება, რომ სასკოლო არაფორმალურ კლუბებსა თუ აქტივობებში ჩართვით დაინტერესებული, მეტწილად, გოგონები არიან. კვლევაში მონაწილე მშობლებიც აღნიშნავენ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, გოგონები უფრო გამოირჩევიან აქტიურობით, ვიდრე ბიჭები. თუმცა, პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ჩართულობის ხარისხი თანაბარია და გენდერული სტერეოტიპები სასკოლო სივრცეში, უმეტესად, დაძლეულია, განსაკუთრებით წარსულ გამოცდილებასთან შედარებით, როცა, მასწავლებელთა აზრით, გარემო გაცილებით დისკრიმინაციული იყო გოგონების მიმართ, ვიდრე დღეს.

ფორმალური საგანმანათლებლო პროცესი

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ გამოკითხული რესპონდენტების კლასებში, უმეტეს შემთხვევაში, ბიჭები რაოდენობრივად ჭარბობენ გოგონებს. ორივე სქესის მოსწავლეები, პედაგოგებიც და მშობლებიც, უმეტესად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ნაკლებად უკავშირდება სქესს. შესაბამისად, სწავლის ხარისხიც თანაბარია, თუმცა მაინც გამოიკვეთა გარკვეული უპირატესობა გოგონების აკადემიური მოსწრების ნაწილში. როგორც პედაგოგები და მშობლები, ასევე მოსწავლეებიც, ამბობენ, რომ გოგონები გამოირჩევიან უფრო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ვიდრე ვაჟები; რომ გოგონებს აქვთ უფრო დამყოლი ხასიათი. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს მათ აქტიურობასა და ჩართულობას სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, გოგონების აზრით, მშობლები უფრო მეტად ინტერესდებიან გოგონების სწავლის ხარისხით, ვიდრე ბიჭებისა. შესაბამისად, გოგონებისგან უფრო მეტად ითხოვენ სწავლას. მეორე მხრივ, პედაგოგები გვესაუბრნენ ახალგაზრდების ასაკობრივ თავისებურებებზე, მიიჩნევენ, რომ გარდატეხის ასაკში, როცა ბიჭები საბაზო საფეხურზე გადადიან, ეცვლებათ ხასიათი, განსხვავებული ინტერესები უჩნდებათ; იკვეთება როლი მშობლისა, რომელიც, მასწავლებელთა აზრით, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს, მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით მართოს შვილის ქცევა და ბიჭების სწავლის ხარისხი, უმეტესად, იკლებს, როცა გოგონებს, პირიქით, სწორედ ამ ასაკობრივ მონაკვეთში უჩნდებათ სურვილი, საკუთარი შესაძლებლობები გამოამჟღავნონ. ასე ხსნიან პედაგოგები გოგონების შედარებით მაღალ აკადემიურ მოსწრებას საბაზო საფეხურზე, ხოლო საშუალო საფეხურზე, პედაგოგთა დაკვირვებით,

ბიჭები იწყებენ ზრუნვას იმაზე, რომ მოახდინონ საკუთარი სამომავლო ინტერესების იდენტიფიცირება და, შესაბამისად, მათი სწავლის ხარისხიც და აკადემიური მოსწრებაც თანდათან იმატებს.

„შეიძლება ითქვას, რომ ბიჭებს ხან რაღაცები უფრო მეტად ეზარებათ ხოლმე, ვიდრე გოგოებს“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩემს კლასში 23 ბავშვი ვართ, აქედან 5 გოგო ვართ მარტო. ისე გამოვიდა, რომ 10-ოსნები ვართ 9 და აქედან 3 არის გოგო და 6 ბიჭი“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩვენთან თანაბარია გოგოების და ბიჭების რაოდენობა და განურჩევლად კარგად ვსწავლობთ ყველა“ (მოსწავლე გოგონა).

„თუ იმაზე ვილაპარაკებთ, რომ გოგონებს უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ, ვიდრე ბიჭებს, ეს გამოიკვეთება ხოლმე მერვე-მეცხრე კლასებში, ანუ, როცა აკადემიური მოსწრება დაიწევს [ბიჭებში]. ეს გარდამავალი ასაკია და მერე, მეათე-მეთერთმეტე კლასებში, უკვე ორიენტირს იღებენ [ბიჭები], რომ აირჩიონ მომავალი პროფესია. რადიკალური ცვლილება ხდება თითქოს მათში. სულ რომ ვამბობთ, მეშვიდემდე რა კარგი იყო და რა მოუვიდა მერვეში?! ეს ბავშვები მეათე კლასში ისევ უბრუნდებიან სწავლას. მე ჩემი გამოცდილებით ვამბობ: მერვე-მეცხრე კლასი არის კრიტიკული“ (სკოლის პედაგოგი).

„პატარა ასაკში გოგონების ბუნება უფრო დამყოლია, მასწავლებელსაც ის უნდა, ვინც უფრო დამყოლია. იმისკენ იხრები შენც“ (სკოლის პედაგოგი).

გარდა მოსწავლეების აკადემიური განათლების მიმართ ზოგადი დამოკიდებულებისა, გამოიკვეთა კონკრეტული სფეროები და საგნები, რომლებიც, რესპონდენტების აზრით, სქესის ნიშნით შეიძლება განსხვავებულ სურათს გვაძლევდეს. მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სქესი განსაზღვრავს ადამიანის ინტერესის სფეროებს, რადგან ვაჟები უკეთ ართმევენ თავს ტექნიკურ საგნებს, ხოლო გოგონები – ჰუმანიტარულს. რესპონდენტები არ გამორიცხავენ, რომ ამ დიქოტომიურ დაყოფაში შეხვდნენ განსხვავებულ პრეცედენტებსაც. თუმცა, ისინი ამჟღავნებენ სეგრეგირებულ დამოკიდებულებას და მსჯელობისას აქცენტს სვამენ იმაზე, რომ ბიჭების დაინტერესება ტექნიკური საკითხებით მათ ბიოლოგიურ თავისებურებებს ემყარება. ამის მარტივი მაგალითი მოჰყავთ და ამბობენ: „ბიჭის გონება სხვანაირია“, „ბიჭის ტვინი მაინც სხვაგვარადაა მოწყობილი“ და სხვ. პედაგოგთა და თანატოლთა შორის გავრცელებული ასეთი სტერეოტიპებისა და მოლოდინის შესახებ სმენიათ და მსგავსი დამოკიდებულება საკუთარ თავზედაც გამოუცდიათ კვლევაში ჩართულ მოსწავლე გოგონებს, რომლებიც მიუთითებენ პედაგოგის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებულ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე. რესპონდენტების აზრით, ასეთი მიდგომა თრგუნავს მოზარდის პოზიტიურ მოლოდინს; იგი ვერ ახერხებს, საკუთარი შეხედულებები სხვებისას დაამთხვიოს, რაც დამატებითი სტრესული ფაქტორია მისთვის. ტექნიკური და ჰუმანიტარული ინტერესების სქესობრივი ნიშნით განსაზღვრის გამოხატულებაა ისიც, რომ მოსწავლე ბიჭების მიერ დასახელდა ის საგნები, რომლებსაც გოგონებზე უკეთ სწავლობენ. ესენია: ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ხოლო გოგონებისთვის ასეთი

დისციპლინებია: ლიტერატურა, უცხო ენები, მუსიკა, ხელოვნება და სხვა ჰუმანიტარული საგნები. ამგვარი ფაქტების არსებობის მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საზოგადოების წევრებმა თანდათანობით დაძლიეს გენდერული სტერეოტიპები, ხოლო შემდგომ პროგრესს გარკვეული დრო დასჭირდება.

„არც ჩემთანაა დიდი განსხვავება, მაგრამ, იცით, რაშია საქმე? ბიჭები თუ სწავლობენ, დიდად თავიანთ განათლებას არ აჩენენ და გოგოებს უფრო გამოსდით ნასწავლის გამოჩენა“ (მოსწავლე ბიჭი).

„მუსიკასა და ხელოვნებაში ბიჭები არაფერს არ აკეთებენ ხოლმე და გოგოებს უფრო პასუხისმგებლობის მომენტი აქვთ და ამის გამო უფრო ერთვებიან“ (მოსწავლე გოგო).

„შეიძლება გოგონები დაინტერესებულნი იყვნენ გეოგრაფიით ან ლიტერატურით და ენებით. უფრო აინტერესებთ გოგონებს ეს საგნები, ვიდრე [ტექნიკური] მეცნიერება. ბიჭებს მეტი ნიჭი აქვთ ასეთი მეცნიერების, ვიდრე გოგონებს“ (მოსწავლე ბიჭი).

„კი, ტექნიკურ საგნებს უფრო კარგად ითვისებენ ბიჭები. ბევრი მეგობარი გოგო მყავს, რომლებიც ფიზიკა-ქიმია-მათემატიკაში უძლიერესები არიან. მაგრამ ძირითადი მასა მაინც ბიჭები არიან“ (მოსწავლე გოგონა).

„ძალიან მწარედ მახსოვს, ჩემმა მასწავლებელმა თქვა, ბიჭის ტვინი მაინც სულ სხვააო. მაშინ გავიფიქრე, ნეტავ ბიჭი ვიყო-მეთქი“ (მოსწავლე გოგონა).

საყურადღებოა ისიც, რა მახასიათებლებია საჭირო, რომ ახალგაზრდები გახდნენ სასკოლო საზოგადოებისთვის გამორჩეული წევრები, რომლებიც დაიმსახურებენ პედაგოგთა კორპუსისგან შექებასა და წახალისებას. მართალია, როგორც სკოლის, ასევე საბავშვო ბაღის პედაგოგთა დიდი ნაწილი დისკუსიის პროცესში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ არ ახდენენ სეგრეგაციას მოსწავლე ბიჭისა და გოგონას დახასიათებისას და მათთვის მნიშვნელობა არ აქვს მოსწავლის სქესს ბავშვების შეფასებისას, მოსწავლეებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფები სულ სხვაგვარი რეალობის არსებობაზე მიუთითებს. გამოიკვეთა, რომ გოგონების მიმართ დაწესებული კრიტერიუმები უფრო მეტია, ვიდრე ბიჭების მიმართ, რაც გულისხმობს, რომ გოგონებს უწევთ მრავალი ასპექტის გათვალისწინება და, შესაბამისად, მეტი რესურსის გაღება იმისთვის, რათა „სანიმუშო მოსწავლე გოგონას“ სტატუსი მოიპოვონ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ, როგორც გოგონების, ისე ვაჟების აზრით, მოსწავლე ბიჭების დახასიათებისას პედაგოგებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი მოთხოვნა/კრიტერიუმი არის თავაზიანობა და ზრდილობა, ვიდრე სიბეჯითე და სწავლის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება, როცა ეს ორი უკანასკნელი თვისება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლე გოგონას დახასიათების დროს. მაღალი აკადემიური მოსწრება, სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობაში ჩართულობა, კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა – ეს ის ჩამონათვალია, რომელიც, მოსწავლეთა დაკვირვებით, პედაგოგებისგან უფრო მეტად მოეთხოვებათ

გოგონებს, ვიდრე ბიჭებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გოგონების დახასიათებისას რესპონდენტები წინადადებებს, ძირითადად, არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური ფორმულირებით გადმოსცემდნენ, თან ხშირად იყენებდნენ უარყოფით ნაცვალსახელებს. კითხვაზე: „როგორი უნდა იყოს მასწავლებლისთვის სანიმუშო გოგონა?“ პასუხები მეტწილად მოიცავდა იმაზე მსჯელობას, თუ როგორი არ უნდა იყოს გოგონა და როგორი ქცევა „არ შეეფერება“ მას. გოგონების მიმართ დაწესებული კრიტერიუმები შეეხება მათი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს, მათ შორის, ჩაცმის სტილს („არ უნდა ეცვას მოკლე კაბა“, არ უნდა ეცვას გამომწვევად“), ქცევას („არ უნდა იყოს „ბლატნოი“, „არ უნდა იყოს ქალაბიჭა“, „უნდა იყოს მორჩილი“), საუბრისა და კომუნიკაციის მანერას („უნდა იყოს მშვიდი და ნაზი“). ბიჭების შემთხვევაში მთავარი აქცენტი ისმება თავაზიანობაზე, როგორც შეფასების კრიტერიუმზე („არ უნდა იყოს უზრდელი“).

როგორც გამოიკვეთა, პედაგოგებისა და მოსწავლეების პასუხები ზემოაღნიშნულ კითხვაზე განსხვავებულია. ეს გულისხმობს შემდეგს: მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ მასწავლებლებს განსხვავებული მიდგომა აქვთ გოგონებისა და ბიჭების მიმართ, რასაც პედაგოგთა კორპუსის წარმომადგენლები უარყოფენ. ეს კი გვაძლევს გარკვეული ვარაუდის საფუძველს; კერძოდ, შესაძლოა, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებლებს აქვთ დეკლარირებული ცოდნა, რომ მათ არ უნდა გაარჩიონ მოსწავლეები სქესის მიხედვით და არ უნდა დაუწესონ განსხვავებული კრიტერიუმები. თუმცა, სავარაუდოა, რომ ისინი ვერ ახერხებენ ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას და მათ მიერ მიღებული ინფორმაცია ვერ გადადის პირობისეული ცოდნის კატეგორიაში, რაც გულისხმობს ინფორმაციის გააზრების საფუძველზე მის გათავისებასა და ქცევაში გამოვლენას.

ცხრილი: ეპითეტები, რომლებიც გამოიყენება სანიმუშო მოსწავლე გოგონასა და სანიმუშო მოსწავლე ბიჭის დახასიათებისას.

სანიმუშო მოსწავლე გოგონა	**სანიმუშო მოსწავლე ბიჭი**
მორჩილი	ჯენტლმენი
მოწესრიგებული	თავაზიანი
ბეჯითი	ზრდილობიანი
ზრდილობიანი	ვაჟკაცი
პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე	ძლიერი
ნაზი	პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე
მშვიდი	
კომუნიკაბელური	

ახალგაზრდების ინტერესთა გავლენა სამომავლო პროფესიულ არჩევანზე

არაფორმალური აქტივობები სკოლის გარეთ

გარდა სასკოლო აქტივობებისა, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების უმეტესობა საკმაოდ აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის არაფორმალურ საკლუბო მუშაობაში. ყველაზე ხშირად მოსწავლეები ხდებიან ცეკვის, მუსიკისა და სპორტული წრეების წევრები. უმეტეს შემთხვევაში, დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა დამატებით არაფორმალურ წრეში ჩართვა მშობლის არჩევნით არის განპირობებული, ხოლო საბაზო საფეხურის შემდეგ მოსწავლეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად, თავად იღებენ გადაწყვეტილებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცეკვისა და მუსიკის წრეებში ჩართვა, უმეტესად, მშობლის სურვილით არის განპირობებული, რადგან ახალგაზრდებიც და თავად მშობლებიც მიუთითებდნენ, რომ ბავშვებს არ ჰქონდათ მისწრაფება ამ სფეროების მიმართ; მეტიც, ზოგიერთი მათგანი გამოთქვამდა პროტესტს სხვადასხვა ფორმით (ტირილი, კამათი). თუმცა, მშობელთა აზრით, არასრულწლოვანი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს, გაიაზროს ის შედეგი, რომელიც ამ კლუბებში მუშაობას მისთვის მოაქვს; ამიტომ ზოგჯერ ბავშვის ინტერესებისა და სურვილების უგულებელყოფა გამართლებულია, რადგან ეს, რესპონდენტების აზრით, შვილებს მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე ზიანს.

„[ჩემმა] გოგონამ 12 წელი იარა ცეკვაზე, გვქონდა შუალედებში ჩავარდნები და ამბობდა, რომ არ უნდოდა, მაგრამ ჩემი სიჯიუტით არასდროს არ გამომიყვანია და სადღაც მეშვიდე კლასში ტირილითაც კი წასულა. მერე გადალახა ის პერიოდი, ისევ დაიწყო თავიდან და ძალიან მოსწონდა. ბიჭის შემთხვევაში უფრო სხვანაირად არის, ძალით რაღაცებს ვერ გააკეთებინებ, თუ გააპროტესტა – დამთავრდა. მუსიკა მე არ მიყვარდა, გოგოც არ მიმიყვანია მუსიკაზე და რამდენიმე ხნის წინ გააპროტესტა, რატომ არ დამამთავრებინე მუსიკალური სასწავლებელიო. მაშინ რომ მეტარებინა, მაგასაც გააპროტესტებდა აუცილებლად“ (მშობელი).

„მეც გამახსენდა ჩემი შუათანა შვილი. დავიწყეთ სიარული მუსიკაზე და სამი წლის მერე მითხრა, რომ პიანინოზე სიარული არ უნდოდა და გამომიყვანეო. რა თქმა უნდა, გადავირიე, იმდენი ვქენი, ჩემი გავიტანე. ალბათ, თავის დანებება იმიტომ უნდოდა, რომ გართულდა პროგრამა. ეხლა დაუჯდება ხოლმე პიანინოს, უკრავს და ვგრძნობ, რომ კმაყოფილია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხანდახან აუცილებელია მშობლის მხრიდან დაძალება“ (მშობელი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბაზო საფეხურზე მოსწავლეები უკვე თავად, საკუთარი ინტერესების მიხედვით, ირჩევენ იმ კლუბებსა თუ წრეებს, რომლებში ჩართვაც მათ სურთ. გამოიკვეთა, რომ ბიჭების ინტერესი მეტწილად უკავშირდება სპორტს: ფეხბურთს, კალათბურთს, ჭიდაობას, ასევე პროგრამირებასა და კულინარიას; იშვიათად – ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას: მუსიკას, ხატვას. გოგონების შემთხვევაში, ინტერესები უფრო მეტად მრავალფეროვანია. ისინი ხშირად ცდიან საკუთარ შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა: ცეკვა, ხატვა, ჩოგბურთი, ცურვა, კარატე, მუსიკა, ჭადრაკი. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ გოგონები უფრო მეტად ინტერესდებიან ისეთი კლუბებით, რომლებშიც შეუძლიათ, იმუშაონ შემდეგი მიმართულებებით: ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ფსიქოლოგია, სამართალი და სხვ. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები, რომლებიც არაფორმალურ

განათლებას ასეთ კლუბებში იღებენ, გამოირჩევიან უფრო მეტად ტოლერანტული, შემწყნარებლური ბუნებით, ვიდრე ის ახალგაზრდები, რომლებიც მსგავსი წრეების წევრები არ არიან. საყურადღებოა ისიც, რომ ზემოაღნიშნულ კლუბურ საქმიანობებში ჩართული მოსწავლეები ნაკლებად იზიარებენ გენდერულ სტერეოტიპებს და საუბრობენ საზოგადოების განწყობაზე, რომელიც, მათი აზრით, ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის როგორც გოგონას, ისე ვაჟს, ბოლომდე მიჰყვნენ საკუთარ ინტერესებსა და თუ სურვილებს.

„მე ხუთი წლიდან დავდივარ მუსიკაზე და შემდეგ ვფიქრობდი, რომ გავყოლოდი. ახლა არ ვთვლი, რომ გამომადგება და მუსიკის სფეროს განვითარებას ვერ ვხედავ საქართველოში“ (მოსწავლე გოგონა).

„ფსიქოლოგია მაინტერესებდა და უფრო დამაინტერესა ფსიქოლოგიის კურსზე შესვლის მერე. ვფიქრობდი, რომ გავყოლოდი ამ სფეროს და ეხლა აღარ ვფიქრობ“ (მოსწავლე გოგონა).

მოსწავლეთა არჩევანი, გახდნენ სხვადასხვა კლუბის წევრები, უმეტესად, განპირობებებულია მათი ინტერესით კონკრეტული სფეროს მიმართ და ხშირად უკავშირდება სამომავლო პროფესიას. კვლევაში ჩართული ახალგაზრდების თქმით, დროთა განმავლობაში მათი მისწრაფებები იცვლება, ამიტომ მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა ბევრი მიმართულებით. ამასთან, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ არაფორმალური განათლების როლს, რადგან, მათი აზრით, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ეს კლუბები ეხმარება მოსწავლეს, დაგეგმოს საკუთარი მომავალი და განივითაროს ბევრი საჭირო უნარ-ჩვევა.

„სამხატვრო სკოლაში რომ დადის, მე ვფიქრობ, რომ მომავალს იკვლევს. ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, რაზე უნდა ჩააბაროს. უნდა არქიტექტორულზე და რაღაც მომენტში ეს სამხატვროც შეუწყობს ხელს. და „ლიდერთა სკოლაში“ ძალიან ბევრ ინფორმაციას იღებს და ნებისმიერ პროფესიაში გამოადგება. თუნდაც ცეკვა... ვერ გეტყვით, რომ ცეკვას გავაყოლებ, მაგრამ მოყვარულის დონეზე რატომაც არ უნდა იცოდეს?!“ (მშობელი).

მოსწავლეებისთვის სასურველი პროფესია

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის შედეგების მიხედვით, გოგონები და ბიჭები ადრეული ასაკიდან ავლენენ განსხვავებულ ინტერესებს, ამაზე ყურადღებას ბაღის აღმზრდელები ამახვილებენ. მათი დაკვირვების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბიჭები ცდილობენ, თავისუფალი დრო მეტწილად ერთად გაატარონ და ინტერესებიან კონსტრუქციული თამაშებით, სათამაშო საავტომობილო საშუალებებით, მაშინ, როცა გოგონები თამაშობენ „სახლობანას“, ირგებენ დედის როლს და დაკავებული არიან საოჯახო საქმეებით. ინტერესები განსხვავებული და ცვალებადია ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიღების პროცესშიც. სწორედ ისინი განსაზღვრავს მოსწავლეების სამომავლო გეგმებს, მათ შორის, სამომავლო პროფესიასაც.

გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდების ინტერესები, ძირითადად, მოიცავს განათლების, სპორტის, სამართლისა და კომპიუტერული ინჟინერიის სფეროებს, შედარებით იშვიათად – ხელოვნებისა და კომუნიკაციის მიმართულებებსაც. კვლევაში ჩართული გოგონების საკმაოდ დიდ ნაწილს სურს, რომ სამომავლო პროფესიად მასწავლებლობა აირჩიოს. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ საკუთარ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა, გადმოცემის კარგი უნარი, კომუნიკაციის შესაძლებლობა, ბავშვების სიყვარული. ამასთან, მიიჩნევა, რომ მასწავლებლობა უფრო მეტად შეეფერება ქალს, ვიდრე კაცს. გოგონებს დიდი ნაწილი, ასევე, ინტერესს იჩენს ფსიქოლოგიის, იურიდიული და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების მიმართ. რაც შეეხება ბიჭებს, მათ უმეტესად, იზიდავთ პროგრამირება, ფეხბურთი და კულინარია. ახალგაზრდების თქმით, მათი თავისუფალი არჩევანი, უმეტეს შემთხვევაში, არ იზღუდება, თუმცა იხსენებენ ფაქტებს, როცა უფროსებისგან მიუღიათ შენიშვნა/რჩევა პროფესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამო; უთქვამთ, რომ ის არ იყო კონკრეტული სქესისთვის შესაფერისი. ყველაზე ხშირად გაჟღერდა მოსაზრება, რომ ჰუმანიტარული საგნების პედაგოგობა საზოგადოების მხრიდან აღქმულია, როგორც ქალის საქმიანობა, ხოლო პროფესიები, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, მართვის გამოცდილებას, „ქალის ბუნებას“ არ შეესაბამება. მსგავსი დამოკიდებულების გამო იკვეთება შემთხვევები, როცა ახალგაზრდებმა უარი თქვეს საკუთარ არჩევანზე.

„როცა ვამბობ, რომ იურიდიულზე მინდა ჩაბარება, ძალიან დიდი ხმაური მოჰყვება ხოლმე ამას, რომ გოგო ვარ და არ განიხილება იურიდიული, როგორც გოგოსთვის სასურველი პროფესია“ (მოსწავლე გოგონა).

„ძალიან მინდა ისტორიკოსობა; რომ გვკითხა [მასწავლებელმა], მეც ვუთხარი, [რაც მინდოდა]. ძალიან კარგია, გოგოს უხდება ისტორიკოსობაო, ასე მითხრა. ერთ მოსწავლე ბიჭს ფილოლოგიაზე უნდოდა სწავლა და მერე საზოგადოებამ იმხელა ზეწოლა მოახდინა [მასზე], შეიცვალა გადაწყვეტილება. ერთ-ერთ გაკვეთილზე მასწავლებელმა აღნიშნა, კიდევ კარგი, შეიცვალე გადაწყვეტილება, ფილოლოგობა რა კაცის საქმეაო“ (მოსწავლე გოგონა).

„არ არსებობს „ქალის“ და „კაცის“ პროფესია. მინდა იურიდიულზე ჩაბარება და მოსამართლე მინდა, ვიყო. ბევრჯერ უთქვამთ, რომ გოგოს პროფესია არ არის. მე არ ვაქცევ ყურადღებას“ (მოსწავლე გოგონა).

„პედაგოგობა უფრო ქალებს გამოსდით“ (მოსწავლე ბიჭი).

„ქალს კიკბოქსი ნაკლებად შეესაბამება. შესაძლებლობაზე არ ვამბობ, შეძლებით შეუძლია, უბრალოდ, უფრო ნაკლებად შეეფერება. შეესაბამება ფილოლოგობა, ფსიქოლოგობა, ისეთი [პროფესია], რომელიც გონებრივ დატვირთვას გულისხმობს“ (მოსწავლე გოგონა).

„ადრე მინდოდა ფილოლოგობა და მითხრეს, რომ არ იქნებოდა ეს კარგი, [მასწავლებელმა] მითხრა, თუ ამაზე [პედაგოგიკაზე] აპირებ ჩაბარებას, ბარემ ისტორიის მასწავლებელი გახდიო“ (მოსწავლე ბიჭი).

კვლევაში ჩართული მშობლები მიიჩნევენ, რომ პროფესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ახალგაზრდამ თავად უნდა მიიღოს. თუმცა, ამის მიუხედავად, იკვეთება სხვადასხვა სახის გარკვეული შეზღუდვა; კერძოდ, მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებობს პროფესიები, რომლებიც შეუფერებელია კონკრეტული სქესის წარმომადგენლისთვის. მაგალითად მოჰყავთ ფილოლოგია, რომელიც არასასურველი პროფესიაა ბიჭისთვის, ასევე, გინეკოლოგიაც. გოგონების შემთხვევაში, მსგავსი შეზღუდვა ნაკლებად ვლინდება, თუმცა, იკვეთება, რომ პროფესიის არჩევის პროცესში ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ასპექტი ფინანსური შემოსავალია, რომელიც შეიძლება მიიღო კონკრეტული პროფესიით დასაქმების შედეგად.

„ჩემს ბიჭ შვილზე მაქვს საუბარი; რომ მითხრას, ფილოლოგი მინდა, გამოვიდეო, ალბათ მეც ვეტყვი, რა კაცის საქმეა ფილოლოგობა-მეთქი. სხვისი შვილის შემთხვევაში, არავის არ აქვს ჩარევის უფლება. ჩემი შვილიც თუ მოინდომებს, გააკეთოს, მაგრამ მე ჩემს აზრს ვეტყვი. ძალიან ცუდი მიდგომაა, მაგრამ ჩვენ ხომ არასდროს გვყოლია ქართულის მასწავლებელი კაცი და, ალბათ, აქედან მოდის ქვეცნობიერში“ (მშობელი).

„მე მაინც ვფიქრობ, რომ მშობელმა უნდა იაქტიუროს, როდესაც შვილი პროფესიას ირჩევს. მე არ ვიძახი, რომ უნდა გადაუწყვიტო, მაგრამ სწორ გზაზე უნდა დააყენო რჩევით. აი, ჩემმა შვილმა, ბიჭმა, რომ მითხრას, მე უნდა გამოვიდე ფეხბურთელიო, აუცილებლად ვეტყვი, ფეხბურთი [იქნება] შენი მეორე პროფესია და შეგიძლია, ითამაშო, მაგრამ შენ მეტი შეგიძლია, უნდა ჩააბარო და პროფესია გქონდეს-მეთქი. მე ვიცი ჩემი შვილის მონაცემები, ვიცი ჩემი შვილის გონება. აქედან გამომდინარე, არ მივცემ იმის უფლებას, რომ გამოვიდეს მხოლოდ ფეხბურთელი“ (მშობელი).

„ვცდილობ, ნაკლებად ჩავერიო [შვილის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში]. კი, ისწავლის 4 წელი, რა პრობლემაა, მაგრამ მას უნდა უნდოდეს [ეს პროფესია]. იძულებით კი არ უნდა აკეთოს, სიხარულით უნდა აკეთოს. ძველი ხალხი უფრო სხვანაირად უყურებს. ბებიამ თქვა, ბიჭია და რა მასწავლებლობაო. ჩემთვის არ არის დაყოფილი ასე სქესით, სულერთია“ (მშობელი).

უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტები ვერ ახერხებენ დასაბუთებას, თუ რამ განაპირობა ჩამოყალიბება სტერეოტიპისა, რომ კონკრეტული პროფესია კონკრეტული სქესისითვის არანორმატიული არჩევანია. რესპონდენტები, ძირითადად, სარგებლობენ საზოგადოებაში მიღებული ნორმებით, რომელთა თანახმადაც, მიზნის მიღწევა შესაძლებელია სოციალური კონტექსტის შესაბამისი და აღიარებული საშუალებებით. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ სხვადასხვა პროფესია მოითხოვს ქცევის იმგვარ პატერნებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელია რომელიმე სქესის წარმომადგენლისთვის. სწორედ ამით აიხსნება გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული ინტერესები სხვადასხვა სფეროს მიმართ; კერძოდ, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პროფესია, რომელიც მოითხოვს არაგუნდურ, პასიურ, რუტინულ საქმიანობას და გამოირჩევა კომუნიკაციის მცირე შესაძლებლობით, ნაკლებად მოთხოვნადია გოგონებისთვის. ასეთია, მაგალითად, პროგრამირება.

„რაღაც პროფესიებს ახასიათებს გარკვეული ქცევის მოდელები. შეიძლება ეს გაუცნობიერებლად ხდება, მაგრამ გვიყალიბდება [გარკვეული შეხედულებები]. ასევე, გენდერს აქვს რაღაც ქცევის მოდელები, რომლებსაც ჩვენ ვერ ვაიგივებთ [ამა თუ იმ] პროფესიასთან. გაუცნობიერებლადაა ეს მომენტი. [არის] საქმიანობა, როცა ცოტა უნდა ილაპარაკო, იყო შეუმჩნეველი. ცუდად ვამბობ, მაგრამ, მაგალითად, პროგრამისტების ძირითადი საქმიანობა ეგ არის, მარტო არიან, არავინ არ ჰყავთ გარშემო. გოგოებს ამ ქცევისადმი ნეგატიური შეხედულება აქვთ“ (სკოლის პედაგოგი).

გარდა პროფესიისა, კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს კარიერულ წარმატებაზე. ისინი ჰყვებოდნენ კარიერის უმაღლეს საფეხურზე, რომელზედაც ხშირად უოცნებიათ. რესპონდენტი ბიჭების შემთხვევაში, გამოიკვეთა, რომ მათი გეგმები თუ სურვილები გაცილებით ამბიციურია, ვიდრე გოგონებისა. ბიჭები საოცნებო სამსახურზე ან გეგმებზე საუბრისას ხშირად იყენებენ ისეთ ზედსართავ სახელებს, როგორიცაა: „მსოფლიოში ცნობილი“, „გამოჩენილი“ და ა.შ. ამასთან, იკვეთება მათი სურვილი, შექმნან საკუთარი ბიზნესი, დააარსონ საკუთარი ფირმა გოგონები კი საკუთარი გეგმების გაზიარებისას, უმეტესად, იყენებენ ზედსართავ სახელს „პატარა“ – „ჩემი პატარა კაბინეტი“, „პატარა კაფე“. გარდა ამისა, გოგონების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს სურვილი, იმუშაოს სკოლაში – მასწავლებლად, ექიმად, ფსიქოლოგად.

„ვოცნებობ, ძალიან ცნობილი მომღერლები რომ არიან, მასეთი ცნობილი გავხდე“ (მოსწავლე ბიჭი).

„მე ვისურვებდი, ვყოფილიყავი რომელიმე ტოპ-გუნდის მწვრთნელი და წლების მერე მყოლოდა ჩემი, საკუთარი ფეხბურთის გუნდი“ (მოსწავლე ბიჭი).

„კალათბურთელი მინდა, ვიყო, NBA-ში მინდა, რომ ვითამაშო“ (მოსწავლე ბიჭი).

„დიდ კომპანიაში ვიმუშავებდი სადმე, ტექნოლოგიების მიმართულებით“ (მოსწავლე ბიჭი).

„არქიტექტორად ვიმუშავებდი, ჩემი ფირმა მინდა, რომ მქონდეს“ (მოსწავლე ბიჭი).

„სიამოვნებით ვიმუშავებდი სკოლაში ფსიქოლოგად, ან გავხსნიდი პატარა კაბინეტს, სადაც მივიღებდი პაციენტებს“ (მოსწავლე გოგონა).

„მე სანდო, კარგ კლინიკაში მომინდებოდა მუშაობა ექიმად, ანდა სკოლაში ქიმიის ან ბიოლოგიის მასწავლებლად“ (მოსწავლე გოგონა).

„ჩემს თავს ვხედავ იურისტად. ვიმუშავებდი გამომძიებლად“ (მოსწავლე გოგონა).

„ფილოლოგობა მინდა. სამუშაო ადგილი არ ვიცი ჯერ, მაგრამ, რომ ამბობენ,სკოლა არ მინდა და სხვაგან ვიმუშავებ, ოღონდ მანდ არაო, ასე არ ვარ და ვფიქრობ, რომ სკოლა ძალიან მნიშვნელოვანი საფეხურია და მნიშვნელოვანია მანდ მუშაობა“ (მოსწავლე გოგონა).

„სიამოვნებით ვიმუშავებდი სკოლის დირექტორად ან მასწავლებლად. განათლების სისტემას თუ ეშველა, ძალიან კარგი იქნება“ (მოსწავლე გოგონა).

სქესის როლი კარიერული წარმატების მიღწევის პროცესში

კვლევის შედეგების მიხედვით, გაიყო რესპონდენტთა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სქესის წარმომადგენლისთვის არის შედარებით იოლი კარიერული წინსვლა და რა განაპირობებს ამას. რესპონდენტების ნაწილის აზრით, ამ მიმართულებით საქართველოში დღესდღეობით განსხვავება არ არსებობს და სქესი წარმატების ან წარუმატებლობის შემთხვევაში დამოუკიდებელ ცვლადად არ განიხილება. მიიჩნევა, რომ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, დასაქმება ნებისმიერი ადამიანისთვის წარმოადგენს სირთულეს, განურჩევლად სქესისა. აქვე აღნიშნავენ, რომ თანდათანობით წარსულს ჩაბარდა სამსახურში გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია და, მეტიც, რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალები უფრო ხშირად ახერხებენ წარმატებული კარიერის შექმნას, ვიდრე მამაკაცები. ამის არგუმენტად ასახელებენ ქალის უნარს, ადვილად აუღოს ალღო ახალ გამოწვევებს და მართოს კრიტიკული სიტუაცია. რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ მამაკაცები ხშირად მიილტვიან მაღალი თანამდებობისკენ, მაშინ, როცა ქალისთვის სამსახურებრივი სტატუსი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამ შეხედულების მომხრეები აღნიშნავენ, რომ დღესდღეობით ქალები მეტად წარმატებულნი არიან ბევრ სფეროში, ვიდრე კაცები, მაგალითად კი მოჰყავთ ქვეყნის ქალი პრეზიდენტი.

„გააჩნია, რას ვთვლით მაღალ თანამდებობად. მაღალხელფასიანები ქალები რომ არიან უფრო მეტად, მაგას ვატყობ. გაიხედავ, ქალები ისეთი მანქანებით დადიან...“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„პრეზიდენტი ქალი გვყავს, ბოლოს და ბოლოს. ქალები უფრო მეტად არიან დასაქმებულები და მაღალხელფასიანებიც. მარტო სკოლის დირექტორი ქალები ეყოფა, რომ დავთვალოთ“ (საბავშვო ბაღის პედაგოგი).

„ჩემი გადასახედიდან, წამოვიდა ტენდენცია, რომ საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან ქალები. მშვენივრად ართმევენ თავს, განსაკუთრებით – უფლებადამცველები, მაგალითად, სახალხო დამცველი. არ აწყენთ მამაკაცებს, რაღაც საკითხებში დაუთმონ ასპარეზი მანდილოსნებს. მე ასე ვფიქრობ“ (სკოლის პედაგოგი).

„მიუხედავად იმისა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებს გვიწოდებენ, ქალი უფრო ძლიერია, ვიდრე კაცი. ქალს უფრო მეტი შეუძლია, მე მაინც ამ აზრზე ვარ“ (მშობელი).

„მაინც ვფიქრობ, რომ ქალს უფრო ადვილად შეუძლია, სამსახური იშოვოს, დაიწყოს და ნებისმიერ პოზიციას მოირგებს, განსხვავებით მამაკაცისგან. ეს ჩვენს [ქალების] სიძლიერეზეც მეტყველებს“ (მშობელი).

მეორე მხრივ, რესპონდენტთა მცირე ნაწილი მიუთითებს იმ ბარიერებზე, რომლებიც ქალს კარიერული წინსვლის გზაზე აბრკოლებს. ძირითადად, ეს უკავშირდება როგორც ბიოლოგიურ მახასიათებლებს, ასევე გენდერის ნიშნით არსებულ სტერეოტიპებს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახის შექმნის შემდეგ ქალები, ხშირ შემთხვევაში, წყვეტენ განათლების მიღებას, სამსახურის ძებნის პროცესში უწევთ დამსაქმებლის დარწმუნება, რომ, მიუხედავად შვილებისა და ოჯახის ყოლისა, ისინი შეძლებენ, კვალიფიციურად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. ორსულობის პერიოდში ქალები, ასევე, პრობლემებს აწყდებიან დეკრეტული შვებულების აღების საჭიროებისას. დროის ამ მონაკვეთში ბავშვის აღზრდის პროცესი, მეტწილად, სწორედ ქალის ვალდებულებად მიიჩნევა. გარდა ამისა, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ოჯახში მამაკაცი წყვეტს, აქვს თუ არა ქალს უფლება, დაიწყოს მუშაობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რესპონდენტთა შედარებით მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ კარიერული წინსვლა მამაკაცისთვის უფრო იოლია, ვიდრე ქალებისთვის. რესპონდენტები, ასევე, იხსენებენ საკუთარ თუ სხვათა გამოცდილებას, როცა სამუშაო ადგილებზე მათთვის ან მათი ახლობლებისთვის უარის თქმის მიზეზი სწორედ სქესი გახდა. ამასთან, ყურადღება გამახვილდა იმაზედაც, რომ ქვეყნის მმართველობით ორგანოებში წამყვან თანამდებობებზე, ძირითადად, მამაკაცები არიან დასაქმებული, რაც კიდევ უფრო ამყარებს რესპონდენტთა მოსაზრებას, რომ ქალის კარიერული წინსვლა გაცილებით მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული.

„ქალებს ეკითხებიან ხოლმე გასაუბრებებზე, შვილის გაჩენას თუ აპირებს, როგორ შეუთავსებს [ამას] სამსახურს. ხშირად ქალის კარიერაზე დიდ გავლენას ახდენს ორსულობა, დაოჯახებულობა. განსხვავება არის ამ კუთხით. ამ მხრივ, უფრო მეტი ხელის შემშლელი ფაქტორი აქვს ქალს“ (მოსწავლე გოგონა).

„მე ვფიქრობ, რომ [კარიერის აწყობა] კაცისთვის უფრო ადვილია, ვიდრე ქალისთვის. ჩემი დის შემთხვევაზე გეტყვით. სამსახურში გაიარა ტესტირება, დარჩა 5 ადამიანი და, საბოლოოდ რომ გამოჰკითხეს, აღმოაჩინეს, რომ ჰყავდა ორი მცირეწლოვანი ბავშვი. სამსახურში აიყვანეს სამი კაცი და ჩემი და დატოვეს ისე. ეს მიდგომა, სამწუხაროდ, შემორჩენილია და ჰგონიათ, რომ ქალს უფრო მეტი პრობლემა აქვს, უფრო დაკავებულია და ისე ხარისხიანად ვერ შეასრულებს საქმეს, როგორც კაცი“ (მშობელი).

„იცით, ეს ისევ ოჯახიდან მოდის. როგორც აღნიშნეთ, რომ, აი, გოგონებისთვის მთავარია, შექმნან ოჯახი და ბიჭს კარიერა უნდა ჰქონდესო... გოგოებს არ უწყობენ ხელს, რომ იყვნენ წარმატებულები. მე თუ ჩემს შვილს ის ვეძახე, კარგი ქმარი მონახე და, შენ რას გააკეთებ, დიდად არ აქვს მნიშვნელობა-მეთქი, ის მართლა მასე გააკეთებს. იტყვის, რომ, მოდი, იცი რა, ჩემი ქმარი იმუშავებს და მე – არა. ჩვენი მიდგომაა ძალიან ცუდი ქალებთან მიმართებაში და ამიტომ იხევს უკან მერე ქალი“ (მშობელი).

„ზოგიერთი ქალისთვის ბარიერი შეიძლება ოჯახიც იყოს, თუნდაც მეუღლე. არიან ასეთი აზროვნების მამაკაცები, ცოლებს უშლიან მუშაობას. კიდევ არის შემორჩენილი ასეთი აზროვნება“ (სკოლის პედაგოგი).

„მგონია, რომ კაცებისთვის უფრო ადვილია წარმატების მიღწევა იმ სფეროებში, სადაც მამაკაცები არ არიან წარმოდგენილნი. აი, მე, მაგალითად, სადაც არ უნდა მივიდე [სკოლაში], ყველგან გაშლილი ხელებით მხვდებიან, „უი, რა კარგია, ბიჭი მოვიდაო“. ქალები... შვილის გაჩენის შემდეგ ერთი წლით მაინც ამოვარდნილი არიან ფორმიდან. არავის არ სურს, რომ მისი კადრი ამოვარდეს, მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკურ თანამდებობაზე მიდის საუბარი. გინდა, არ გინდა – ეს ბიოლოგიური ფაქტორი არსებობს. მამაკაცებს კიდევ იმიტომ უმარტივდებათ კარიერული წინსვლა, რომ ესეც ჩვენი კულტურის ნაწილია – მამაკაცებს შორის ერთმანეთის წახალისება უფრო მეტად არის განვითარებული, ვიდრე ქალებს შორის. ქალი ქალს უფრო ნაკლებად დაეხმარება, ქალებს ერთმანეთთან თანამშრომლობა უფრო უჭირთ, ვიდრე კაცებს. კაცებს უფრო მაღალი აქვთ ხელფასი და ა.შ. არადა, უფრო მეტი გოგო ამთავრებს უნივერსიტეტს და მერე კაცების ხელფასი მაინც უფრო მაღალია“ (სკოლის პედაგოგი).

Gender Socialization Process - Factors Influencing the Engagement of Girls and Boys in Informal Activities

The research was implemented within the framework of the project "Civic Engagement - for a Better Future" with the financial support of the organization Brot für die Welt

Project Director: Marina Topuria

Author of the Research Report: Khatia Tchanishvili

Research Group: Iago Katchkatchishvili (Research Consultant), Khatia Tchanishvili,

Editor: Natia Menabde

Methodology

The purpose of the research was to identify the factors that have positive or negative impact on the engagement of boys and girls in informal activities in the process of gender socialization.

Objectives of the research:

1. Determination of the level of public awareness on gender socialization;

2. Revealing the current attitudes about gender roles;

3. Identification of factors promoting students' awareness on gender roles.

Key issues that include the research:

- Perception of their gender identity by the students and satisfaction with it;

- Determining the impact of parents, peers and teachers on the formation of gender identity;

- Identify different expectations from parents, peers and teachers on gender grounds and their impact on the student's socialization;

- The impact of gender identity and beliefs on the formation of students' interests.

- The impact of gender views / behaviours studied in kindergartens on the positions established during the school years.

Target audience:

Within the framework of the research it was important to study the school as well as the pre-school (kindergarten) experience; In addition, its diverse impact on the equal engagement of boys and girls in informal activities should be analysed. The following target groups were therefore specified:

- Students (7-12 grades)

- School teachers
- Kindergarten teachers
- Parents of students and kindergarten beneficiaries

Method of study:

The qualitative research methods, in particular, focus group and group discussion, were selected, which were carried out via Zoom platform, taking into account the epidemiological situation. The online-meeting was recorded through video and audio means and the respondents were informed about it.

Selection:

In the selection process it should be important to take the following factors into account:

- The research should be conducted in the west and east regions of the country;
- The research should be conducted in the regions that are distinguished by a relatively small number of NGOs working in the strengthening of children and young people (taking into consideration the number of students);
- The research should be conducted in the regions that are distinguished by a relatively large number of NGOs working in the strengthening of children and young people (taking into consideration the number of students).

Finally, the research was implemented in Tbilisi, Guria and Kvemo Kartli regions. Within the scope of the research, there were 13 focus groups and 4 group discussions with the following audience:

- Girls from 7 to 9 grades
- Boys from 7 to 9 classes
- Girls from 10 to 12 grades
- Boys from 10 to 12 classes
- Kindergarten educators / managers
- School directors / teachers
- Parents

Totally 114 respondents took part in the meetings.

The transcripts of meetings were drafted, which were developed using the program NViVo and the Final Report was elaborated.

Final conclusion

In accordance with the results of the research, family education, school and pre-school grade education have a significant impact on students in the process of self-perception of their own gender identities. The impact of parents, peers and teachers on the formation of gender identity is quite extensive. It was revealed, that in the process of socialization, the respondents, whether consciously or subconsciously, are mostly guided by socially acceptable attitudes and behaviour patterns, which, in numerous occasions, exist in hidden form; namely, it became obvious, that the activities in the families are still allocated on the grounds of sex, in addition, the respondents' attitude, that sometimes neglecting child's interests and desires is justified (because they believe, that this behaviour is more useful than harmful for children) indicates the lack of awareness on children's rights among a certain part of the parents; Consequently, this behaviour contains the signs of violence against children.

In the light of the foregoing, the existence of different expectations from parents, peers and teachers on gender grounds contributes to the formation and/or modification of students' interests. However, pursuant to the results of the research, the standards set for girls are much tougher than in the case of boys. Perhaps, this is one of the reasons why the boys more frequently express satisfaction with their own sex than the girls. In addition, various restrictions or prohibitions set for the girls may be related to the fact that the respondent girls' future plans are less ambitious, than boys.

The research also revealed that educational institutions mostly struggle to comply with the requirements of the National Curriculum, which acknowledges the equality of girls and boys, but at the level of attitudes, in some cases, only declared knowledge is expressed, without the other two categories of knowledge (procedural and conditional knowledge), which gives us the reason for assumption, that certain part of the teachers of the educational institutions couldn't understand the values, which have a significant impact on the development process of a student / kindergartener. Moreover, in some cases, certain part of teachers (both in kindergartens and schools) believe that in the case of detecting masculine characteristics in girls and femininity in boys, the education system should care to inhibit these traits among students with the specific mechanisms, for example, individual working of the specialist.

Such attitudes of adults are somehow reflected in the process of formation of opinions among students, however, based on the results of the research, gender stereotypes are more common among boys. The fact that boys were frequently focusing on their superiority over the girls and the important role of men in the family gives us the reason for this assumption.

Pursuant to the results of the research, there is some correlation between the students' engagement in informal circles or activities (the major directions of which are the human rights, democracy, civil society building) and their tolerant attitudes / opinions in the context of gender. It should be

noted that the above circles are largely a subject of girls' interest. This makes us to think, that girls have more adequate views on the gender issues than boys.

Key findings

Family education practice

- During socialization, mother is mostly responsible for family, i.e. personal education of a child. Besides mother, other female family members are mostly involved in this socially controlled process - senior sister or grandmother. The degree of fathers' engagement in the above-mentioned process is often minimal, their employment is named as a reason for it.

- Imposing the major responsibilities on mothers in the process of education is considered by the respondents as a standard that is justified by the historical context of Georgia.

- Young people are more or less involved in the implementation of family activities, but elements of segregation are evident – women's duties and men's duties are separated from each other. Men's duties include such activities as gardening, transportation of luggage, agricultural works (requiring physical strength), and dish washing, housecleaning, cooking are considered as women's activities.

- The student boys, taking part in the research, mostly have the experience of fulfilling family activities, while the student girls mostly structurize their duties and mention that their main task is to get education; accordingly, there is no time to engage in other family activities, which is why they frequently become the subjects of critics from family members.

Pre-school education level

- According to the kindergarten educators, in the process of children's socialization, the preschool education promotes the development of the main values, which is an important prerequisite for realization of children's immanent abilities and qualities.

- According to the kindergarten educators and parents, the kindergarten environment is free from gender stereotypes. The reason for this is the thematic learning introduced in preschool institutions. According to the educators, stereotypical attitudes are more likely revealed by the children's parents.

- Some part of the kindergarten educators, consider that it is important to establish educational measures (special curricula, enhanced work of multidisciplinary team, etc.) in case of revealing deviant behaviour by the child, with the help of which the child will understand social norms established by the society.

General education level

- The overwhelming majority of students get informal education in or outside the schools. The positive impact of informal education on the personal formation of the young man is significant.

- Girls are more engaged than boys in the informal activities (except for sports activities) or clubs. The reason for this is the gender views of boys, according to which the engagement in such a process destroys their masculine nature.

- The passivity of boys toward the engagement in various activities is often resulted by leniency towards them from teachers and in general, from society. As a result, an acceptable and favourable environment is established for male students.

- Sexual identity mostly defines the extra-curricular activity. In most cases, girls are responsible for cleaning the classroom, organizing events, and boys – to take part in the already organized events / or performing tasks that are identified as "man's work" and require physical strength.

- Girls are characterized as being more responsible students than boys. According to the respondents' opinion, exactly due to this factor girls prevail over boys in the context of academic performance.

- Person's sexual identity is perceived as a significant factor for having special interest and/or talent toward certain technical or humanitarian subjects.

- Teachers' opinion, that they do not differentiate students according to their sexual identity and do not set different criteria, contradicts student's discourse: the latter name different characteristics, which are demanded by the teachers from boys and girls. Such result gives us a reason for the assumption that teachers fail to understand information / knowledge obtained through trainings or other methods on the gender issues and to introduce it into practice; theoretical knowledge is not reflected in their behaviour.

- Students believe that the young person must choose the future profession independently, taking his/her own interests into account; however, they emphasize the gross interference by the society in this process, which is mostly caused by gender stereotypes. Consequently, the professions are divided into feminine and masculine categories.

- Gender is named as one of the basic variable impacting on career development, because it is considered, that women should overcome a lot more barriers, than men, which is caused by imposing more responsibilities on women (having family, raising children, fulfilling family affairs, etc.).